საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 25 ივნისი, 2015 წელი.

№116 (7761)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ემზარ ჯგერენაია: თანხის დადგენა კარგია, მაგრამ ფული საიდან?!

4

რომან გოცირიძის „კუპონური“ განცხადებები, ანუ „ექსპერტის“ აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილი საუბარი

7

მდინარე ვერეში საკანალიზაციო წყლების ჩადინება აღარ მოხდება

კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (GWP) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, კომპანიამ მდინარე ვერეს ხეობაში, დროებით, ადგილობრივი მინი-გამწმენდი ნაგებობა მოაწყო, რომელიც სტიქიის შედეგად დაზიანებულ საკანალიზაციო კოლექტორს მიუერთა.

დანადგარი კომპანიამ სპეციალურად შექმნა იმ მიზნით, რომ მდინარე ვერეში საკანალიზაციო წყლების ჩადინება აღეკვეთა. მინი-გამწმენდ ნაგებობაში დაზიანებული კოლექტორიდან გამოსული საკანალიზაციო წყლები იკრიბება, მუშავდება და იქიდან, გაწმენდილი სახით გამოედინება.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ აღნიშნული საინჟინრო-ტექნიკური გადაწყვეტილება დროებითი ღონისძიებაა, რადგან მდინარე ვერეს ხეობაში გზისა და საკანალიზაციო კოლექტორის რეკონსტრუქციას, დაახლოებით, 30 დღე დასჭირდება. ამ პერიოდის მანძილზე, ადგილობრივი მინი-გამწმენდი ნაგებობის მეშვეობით, მდ. ვერეში დაბინძურებული წყლები აღარ მოხვდება. რაც შეეხება საკანალიზაციო კოლექტორს, მისი პირვანდელი სახით აღდგენა საგზაო და გაწმენდითი სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდება.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ კიდევ ერთხელ შეახსენებს დედაქალაქის მოსახლეობას, რომ თბილისელებისთვის მიწოდებულ სასმელ წყალს არანაირი კავშირი არა აქვს მდინარე ვერეს წყალთან, რადგან დედაქალაქი სასმელი წყლით არაგვის ხეობიდან მარაგდება.

რატომ იწონებენ სერგეენკოს უწყების სიჯანსაღეს!..

3

სოსო ცისკარიშვილი: ახლა ლაყბობა და პოლიტიკური სპეკულაცია კი არა, საქმეა საჭირო!

4

ბალვაშვების შემოსევა

რეპორტაჟები „ცრუსთავი-2“-ის პოლიტიკური სანეხვიდან

ქართული **პოლიტიკის ტეტ-ჩერივით ძლიერი პრინცესა ნინო ბურჯანაძე წლების განმავლობაში ერთობ ეიმედებოდა ქვეყანას.**

კარგ ქართულ ოჯახში და მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში გაზრდილი „ამორძალი“ შესანიშნავი იურისტი და ქართული პარლამენტის მშვენება იყო. ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობასაც ასრულებდა და პოლიტიკოსისთვის უპირველეს თვისებებს — ზომიერებისა და მოთმინების უნარს ინარჩუნებდა.

თურმე, ეს ყველაფერი მოჩვენებითი ყოფილა; თურმე, ნინო ბურჯანაძის აქტიურობაც მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩენისთვის, ბინძური პოლიტიკური კარიერისთვის ბრძოლა ყოფილა!

რა თქმა უნდა, ცხოვრება (მათ შორის პოლიტიკაც) ბრძოლაა და ამ ბრძოლაში მხოლოდ ძლიერები იმარჯვებენ, მაგრამ თუ მოულოდნელი დამარცხებისას გრძნობების მოთოკვა არ შეგიძლია, თუ იმ მონღოლის ვაუკაცობის დანახვა არ შეგიძლია, რომელმაც ცოტნე დადიანის თავგანწირვა დააფასა, წასულია შენი საქმე, ჩამოწერილი და „ჩარეცხილი“ ხარ.

ამ რამდენიმე თვის წინათ ნინო ბურჯანაძემ ტელეეკრანიდან ერთმნიშვნელოვნად განაცხადა: სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ორად ორი პოლიტიკოსია, მიხეილ სააკაშვილი და მე!..

მართალია, მანამდე გამონაციონალებული ნაცებისგან „განთესილი“, სააკაშვილის აუტანელი და მოუთმენელი სიგიჟეების გამო გუნდიდან გამოქცეული ნინო ბურჯანაძე კაპასი ქუთაისელი დედაკაცივით ლანძღავდა „დემოკრატიის შუქურას“, 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში „წესრიგის აღსადგენად“ და პუტინის შესაშინებლად შეჭრილ ერის მოღალატე არამზადას, იმერეთის სატახტო ქალაქში უნიკალური „დიდების მემორიალის“ და იმის აფეთქებას ზედ მიმკვდარი უმანკო დედა-შვილის ძვლებზე აღმართული, საძირკვლიდანვე ცოდვილი პარლამენტის ახალი შენობის შემოქმედს (დამნაშავე-ბრალდებული სააკაშვილის სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის მიქარვებს აღარ ჩამოვთვლი), მაგრამ... ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, როგორც ჩანს, მედროვე ნინო ბურჯანაძემ სააკაშვილი დიდ ქართველ პოლიტიკოსთა შორის მოიხსენია და, ხალხის დასანახად, ყოველ ინტერვიუსა და სატელევიზიო რეპორტაჟებში ასე აკრიტიკებს: **უნიათო და უსუსური „ქართული ოცნების“ ბრალია, რომ ნაცები ყელყელაობენ და ამდენს ბედავენო!**

(რა თქმა უნდა, პოლიტიკურ სანეხვეში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს ვგულისხმობ).

საწყალი ტელემაყურებელი კარგად ხვდება, რომ ამ სიტყვებში „ოცნების“ გამათრახება და მიწასთან გასწორება უფრო იგულისხმება, ვიდრე მიშისტ-ნაცისტების საგულისყურო კრიტიკა.

— ჩემო გიორგი, 13 ივნისის ვერეს ხეობის ტრაგედიის მიზეზების ძიებისას, რა თქმა უნდა, სრული პასუხისმგებლობა ხელისუფლებას უნდა დავაკისროთ, მაგრამ, აბა, სადა გვყავს ხელისუფლება, აბა, სადა გვაქვს ქვეყანა... ჩემო გიორგი, ეს ქვეყანა არ არის, ეს მთავრობა არ არის, ასეთ უნიათო და არაფრის მაქნის მთავრობას ხელისუფლებას ვერ უწოდებ! — უთხრა ნინო ბურჯანაძემ 23 ივნისის ღამეს უსაზიზღრეს პანდორას ყუთიდან თავამოყოფილ ნაციონალურ გიურზას გიორგი გაბუნიას.

— ის კი არადა, აგრძელებს „დიდი პოლიტიკოსი“, — ხელისუფლება, რომელიც ფეხბურთის ბილეთების გაყიდვის გამო თავს მოიჭრის, რა ხელისუფლებაა? (იგულისხმება ევროპის სუპერთასის ბილეთები, რომლებიც „ბილეთებიჯი.“ საიტის დახმარებით უნდა გაყიდულიყო!!!)?

იხ. 2 გვ.

ბალვაშეგის შემოსევა

(პირველი გვერდიდან)

ქართული პოლიტიკის დიდო პრინცესა! – თქვენ ხომ საბაზრო ეკონომიკას „ჩახუტებული“, კაპიტალიზმის, ანუ ლიბერალური, თავისუფალი ეკონომიკის, ვაჭრობის, აღებ-მიცემობის პირობებში ცხოვრობთ! ჰოდა, რა უფლება აქვს სახელმწიფოს, კერძო ბიზნესში ჩაერიოს? ქვეყნის ხელისუფლება რატომ უნდა დაპატარავდეს ფეხბურთის ბილეთების გაყიდვის დონეზე? და რაც მთავარია, ასეთ წვრილმანებით რატომ თაღლითობთ და ატყუებთ ხალხს?

* * *

საკანალიზაციო მილიდან (ვაკის რამდენიმე კორპუსიდან) ბინძური წყალი რომ მდინარე ვერეში დროებით ჩაედინებოდა, მთელმა თბილისმა იცოდა და რაღა თქვენ არ იცოდით, ქალბატონო, გიორგი გაბუნია „ვითარცა მოჩუხჩუხე საწამლავი“, ამ გამოგონილი, გამომწვევი კითხვით ვინმე აკო მინაშვილს და ნინო გოგუაძეს მიმართავდა, თქვენ რატომ არ ამოუდექით მხარში სიმართლეს და თვალხილულ რეალობას? „სიდოური წესია“ ყველა დროის ქართველთა შორის ყველაზე დიდი ქველმოქმედის, მიშა სააკაშვილის და იმისი უმადური, შეშინებული ნაცბანდის ფეხზე დამყენებელი, დამფინანსებელი კაცის, ასობით და ათასობით ხელოვნის, მეცნიერის, სტუდენტის, შემოქმედებითი კოლექტივების გადამრჩენი პიროვნების ლანძღვა-გინება, „ოცნების“ მთავრობის მიწასთან გასწორება, საყოველთაო სიკეთის და საქვეყნო საქმის დაუნახაობა და ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი ქართველი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის (მინიმუმ 70 პროცენტის) აბუჩად აგდება?

რა, ქალბატონო ნინო, საყოველთაო დაზღვევის უდიდეს საჭიროებას და სიკეთეს მაინც ვერ ხედავთ?, ქართული სოფლის გადარჩენასა და აღორძინებაში ჩადებულ მილიონებს მაინც ვერ ხედავთ? შენს საყვარელ რუსეთთან დათბობის პოლიტიკის სურვილსაც ვერ ხედავთ? ადრინდელ და ახლანდელ სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოყოფილ მილიონებსაც ვერ ხედავთ?..

ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, ჩვენი ბრძენი პატრიარქის მხარდამხარ, მიტევების, შენდობის, ერის გაერთიანების და გამთლიანების, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესისთვის მზადყოფნის მამულიშვილურ სურვილსაც ვერ ხედავთ?

დავით უსუფაშვილმა რომ ყველაფერში აჯობა თქვენს რჩეულ მოლაყბე როგოტს დავით ბაქრაძეს, ამასაც ვერ ხედავთ?

ასოციირების ხელშეკრულებას რომ ხელი მოვაწერეთ, ევროპა და ამერიკა რომ თავს არ გვანებებენ და ძლიერ სტრატეგიულ პარტნიორად გვთვლიან, – ამასაც ვერ ხედავთ?

აბა, რას ხედავთ, ძვირფასო პრინცესა?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენი პარტია სახელმწიფოსგანაც და „უანგარო შემომწირველთაგანაც“ კარგად დაფინანსებული პარტიაა, რატომ 2 მილიონი ლარი მაინც არ გადარიცხეთ 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულთა ფონდში?

ასე ირაკლი ალასანიასავით, სასაციილო (ერის და ქვეყნის სასაცილო!) პოლიტიკური პამპულა შალვა ნათელაშვილის დონემდე დაშვება როგორ შეძელით?

ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი, მიხეილ სააკაშვილი, ირაკლი ალასანია, გიგა ბოკერია და იმისი ცოლი, გოკა, აკო, ნინო გოგუაძე (ეს ახალი პოლიტიკური „ბაბაიაგაა“!), ჩიორა და ხათუნა, ნიკა გვარამია და გიორგი გაბუნია, აკაკი გოგიჩაიშვილი და ეკა კვესიტაძე...

ღმერთო ჩემო! XXI საუკუნეა თუ ლიპარიტ ბალვაშეგის შემოსევა?

აი, ქალბატონო ნინო, თქვენ-ნაირებით რომ არის სავსე დღევანდელი საქართველო, იმიტომ არა გვაქვს ქვეყანა და იმიტომ ილევა, რიცხობრივად იმცრობა, ნადგურდება ერი!

დაწყდა ხალხი თქვენი დაპირისპირების, პირადი გამორჩენის, ავყიაობის ეროვნული ცნობიერების არქონის შემყურე!.. დაგვიმძიმეთ და კიდევ უფრო გაგვიმაიმუნეთ ისედაც გამაიმუნებული წუთისოფელი...

სპარტაკ ქოგულია

P. S. **ნინო, არ გაგიკვირდეთ, დამიჯერეთ, რომ მე ბიძინა ივანიშვილს საერთოდ არ ვიცნობ! არ ვიცნობ, მაგრამ როგორც ქვეყნისა და ხალხის უანგაროდ მხარდამჭერს მეც მხარს ვუჭერ! ასეა პირადად თქვენი და თქვენი დიდი ოჯახის კეთილისმსურველი ჩვენი რედაქციაც.**

ბოროტად ნუ იყურებით, კეთილად გაახილეთ თვალები, ძვირფასო!

ს. ქ.

◎ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?

„ნაციონალებო“, ეს სამარცხვინოა!

მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე ქვეყანაში მომხდარ ტრაგედიაზე საუბრობს. ვინ უნდა აგოს პასუხი 13 ივნისს განვითარებულ ტრაგედიაზე, რამდენად ეფექტიანად და ადეკვატურად იმუშავა მთავრობამ სტიქიის დროს და სტიქიის შემდეგ, რას ფიქრობს მსახიობი აღნიშნული მოვლენების დროს „ნაცმოძრაობის“ წევრების აქტივობებზე და ვის ან რატომ უხდის მადლობას?

„რეპორტიორს“ ნინელი ჭანკვეტაძე ესაუბრა.

– ძალიან დიდი ტრაგედია დატრიალდა, პირველ რიგში, იმ ადამიანების მწუხარებას ვიზიარებ, ვისაც უშუალოდ დაატყდა თავს ეს ტრაგედია.

– სტიქიური უბედურების დროს, მთავრობის საქმიანობის გამკრიტიკებლებიც გამოჩნდნენ. თქვენ როგორ აფასებთ ხელისუფლების რეაგირებას?

– მე ვხედავდი, რა მობილიზებული იყო მთავრობა. მერია, ნებისმიერი თანამშრომელი, ვისაც რაიმე ევალებოდა, ძალიან ოპერატიულად მოქმედებდა. ერთია, რომ გამოცდილება გვაკლია, მაგრამ მე ვხედავდი: მაქსიმალურად მოჰყვა რეაგირება ხელისუფლების მხრიდან ამ ყველაფერს. ადამიანების ძალიან დიდი ერთსულოვნება იყო. ყველა იმას აკეთებდა, ვისაც რა შეეძლო.

არსებულ ვითარებას თუ იმ ისტერიას მოვაშორებთ, რაც მედიას შემოაქვს ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმის მაქსიმუმი გაკეთდა, რაც იყო შესაძლებელი, რომ გაკეთებულიყო.

რასაკვირველია, ჩვენ გვაკლია გამოცდილება, არ ვართ მიჩვეული ბუნების ასეთ მოვლენებს, ესეც უნდა გავითვალისწინოთ და ასეთი შემთხვევებისთვის აწი მაინც უნდა ვიყოთ მზად, თუმცა პირველ რიგში, ბუნების მიმართ არ უნდა გამოვიჩინოთ აგრესია, იმიტომ, რომ მერე ის ასეთივე აგრესიით გვპასუხობს. ასე ხდება მაშინ, როცა იქ ვაშენებთ, სადაც არ უნდა ავაშენოთ, ან ისე ვაშენებთ, როგორც არ უნდა ავაშენოთ...

– ვის ეკისრება პასუხისგებლობა მომხდარში, თქვენ, როგორც ერთი მოქალაქე, რას ფიქრობთ?

– ამ ჭრილში ვერ გადავიტან საუბარს, ეს ექსპერტების საქმეა და სანამ არ დადგინდება ზუსტად, მომხდარში ვერავის დავადანაშაულებ. მით უმეტეს, სულაც არ მინდა, მაინცდამაინც ძველი ხელისუფლების მისამართით ვილაპარაკო. თუმცა, იმ უწყებებს, რომლებმაც არაკანონიერად იმ ადგილებში მისცეს მშენებლობის უფლება და ასეთი ტრაგედია დატრიალდა, რასაკვირველია, პასუხისგებლობა ეკუთვნის და ადრე თუ გვიან, ეს უნდა დადგინდეს, რომ მერე სხვამ არ გაიმეოროს.

როცა ვამბობ, რომ ბუნებას არ უნდა შეეწინააღმდეგო, იმას ვგულისხმობ, რომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო და არ უნდა იყო მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული. ამ გზის მშენებლობა, მე როგორც ვიცი, აღრეც იყო დაგეგმილი, მაგრამ მაშინ სპეციალისტებმა თავი შეიკავეს, მცოცავი ქანებია და სარისკოა გზის მშენებლობაო.

როცა დადგენილი წესები ირღვევა, მერე მას მოჰყვება უბედურებები. უამრავი სახლია ქალაქში, რომლებიც არც კი ვიცით, როგორ არის აშენებული, ვინ გასცა განკარგულება, სწორად მოიქცა თუ არა... სულაც არ არის სავალდებულო, მდინარე ადიდდეს, ელემენტარულმა ბუნებრივმა მოვლენამაც კი შესაძლოა ძალიან დიდი უბედურება გამოიწვიოს. მოკლედ, მე სპეციალისტი არ ვარ, ამიტომ დაველოდოთ იმ ადამიანებს, ვინც ამას სწავლობენ, იმედია, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს.

– ნაციონალური მოძრაობა განვითარებულ მოვლენებში აქტიურად ჩაერთო, ნახავდით, ეცადნენ, ეს ჩარევა ყოფილიყო საქმიანიც, თუმცა, ხელსუფლების კრიტიკაში ბევრად უფრო „გამოიჩინეს“ თავი...

– ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ადამიანების გონებაში არაფერი ცვლილება არ მოხდა და ყველა უბედურებას თუ ბედნიერებას თავიანთი რეიტინგის ასამაღლებლად იყენებენ – იქნებ როგორმე ხელისუფლებაში მობრუნდნენ... რასაკვირველია – ეს სამარცხვინოა! ნებისმიერი ნორმალური ადამიანი ამას ასე აღიქვამს. ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ადამიანი კიდევ რაღაც პოლიტიკური ქულების დაწერას რომ ეცდება, იმაზე რომ დაიწყებს საუბარს, რაშიც თვითონვეა დამნაშავე, მართლა სამარცხვინოა! მათ ადგილზე, მე ამდენს არ ვილაპარაკებდი, არც ტელეეკრანებზე გამოვჩნდებოდი. ძალიან ბევრი ვიდეომასალა არსებობს, როგორ ყელყელაობდნენ და განცხადებებს აკეთებდნენ – სად რას გაიყვანდნენ და როგორ გეგმავდა ორი „არქიტექტორი“ – უგულავა და სააკაშვილი – სად რა გზა უნდა დაეგოთ და სად რა უნდა აეშენებინათ. დღეს ამ გუნდის წარმომადგენლების საუბარი ჩვეულებრივი, ჩემისთანა მოქალაქეებისთვის გამაღიზიანებელია.

ამ დროს, ნაციონალების რუპორი „რუსთავი-2“ მოგვიწოდებს, რომ არ გადავიტანოთ ეს ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილში, მაგრამ თავადვე გადააქვთ. გვესმის კონტექსტიდან ამოგლეჯლი ფრაზები, თითქოს არ ესმით, რა რაზე და როგორ ითქვა. როგორი სამარცხვინოებიც იყვნენ, ისევე სამარცხვინოდ აგრძელებენ საქმიანობას. თუმცა, თუ ვინმეს ამ დაზარალებული ადამიანების დახმარება მართლა გულით მოუნდება, ყველა უნდა დაეხმაროს, არ აქვს მნიშვნელობა – „ნაცია“, შმანცია, ცისფერი თუ ვარდისფერი.

ამ ყველაფრის პარალელურად, უნდა აღვნიშნო ერთი რამ – მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ წლებში ძალიან ცუდი თვისებები გამოვამჟღავნეთ, მიხარია, რომ არ დაიკარგა ერთსულოვნება ჭირში. როცა ამას ვხედავ, ძალიან მიხარია და განსაკუთრებით მიხარია, როცა ამაში ახალგაზრდები არიან ჩართულები, ძალიან მეამაყება. სულ ამბობდნენ, რომ ახალგაზრდობა არ ჩანს, დაკარგულია... მაგრამ აი, გამოჩნდნენ და ბედნიერი ვარ! ეს არის ის, რაც არ გადაადაშენებს ჩვენს ჯიშს და ჯილაგს. დიდი მადლობა ყველას ამისთვის!

დიანა ლიპარტელიანი

საზღვარგარეთ 4 ათასამდე საქართველოს მოქალაქეა დაკავებული

2010-2014 წლებში საზღვარგარეთ ჩადენილი სამართალდარღვევების გამო, საქართველოს 3 715 მოქალაქეა დაკავებული, – ამის შესახებ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)-ის კვლევაშია აღნიშნული.

ორგანიზაცია 2010-2015 წლებში საზღვარგარეთ დაკავებული და დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეების შესახებ კვლევას აქვეყნებს.

„2015 წლის 28 აპრილს სამინისტროდან მოწოდებული იქნა, მხოლოდ 23 ქვეყანაში (არგენტინა, აშშ, ბელარუსი, ბულგარეთი, დანია, ეთიოპია, თურქეთი, თურქმენეთი, იაპონია, კანადა, კორეა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ აფრიკა, საფრანგეთი, საუდის არაბეთი, უკრაინა, უნგრეთი, ქუვეითი და ჩინეთი) საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის და 4 ქალაქში (სალონიკი, ტრაპზონი, განჯა და მაინის ფრანკფურტი) საკონსულო დაწესებულების მონაცემები დაჯამებული სახით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აღნიშნული ქვეყნების მაგალითზე მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2010-2014 წლებში საზღვარგარეთ ჩადენილ სამართალდარღვევათა გამო დაკავებულია 3 715 საქართველოს მოქალაქე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2013 წლამდე ყოველწლიურად შეინიშნება დაკავებულთა რაოდენობის მზარდი ტენდენცია. 2013 წელს 2010 წელთან შედარებით დაკავებულთა რაოდენობა გასამმაგებულია და შეადგენს 1 178 საქართველოს მოქალაქეს. 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 695 მოქალაქემდე შემცირდა. 2015 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მაგალითზე უკვე დაკავებულია საქართველოს 342 მოქალაქე“, – აღნიშნულია კვლევაში.

„რაც შეეხება საზღვარგარეთიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტირებისჰგამოძევების შემთხვევებს, როგორც კვლევიდან ირკვევა, 2010-2014 წლებში აღნიშნული ქვეყნებიდან სულ დეპორტირებულია 8 610 საქართველოს მოქალაქე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენილი მონაცემები აერთიანებს მხოლოდ 27 ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობიდან და საკონსულო დაწესებულებიდან მიღებულ ინფორმაციას, ამასთან, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები მოიცავს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომელთა შესახებაც ინფორმირებულია ხსენებული დიპლომატიური უწყებები, შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ როგორც დაკავების, ასევე დეპორტირების მაჩვენებელი მთლიანი მსოფლიოს მასშტაბით გაცილებით მაღალია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტებით დანარჩენი ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებიდან და საკონსულო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაცია ინსტიტუტს მიეწოდებოდა აღნიშნული უწყებებიდან მიღებისთანავე. სამწუხაროდ, აღნიშნული ინფორმაცია ინსტიტუტს დღემდე არ მიუღია“, – აღნიშნულია IDFI-ის კვლევაში.

◎ კვლევა

რატომ უწონებენ სერგეენკოს უწყების სიჯანსაღეს!..

„ციფრები და გაკეთებული საქმეები მიუთითებენ ჩვენს წარმატებაზე“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“, სადაც ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის საკითხზე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია გაიმართა.

პრემიერის განმარტებით, კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ საქართველოს უკვე აქვს საუკეთესო მაჩვენებლები ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

„ერთ წელიწადში თითქმის 20%-ით შემცირდა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა პირადი დანახარჯები სამედიცინო მომსახურებაზე, ასევე 2010 წელთან შედარებით 2014 წელს ავადმყოფობის გამო მოსახლეობა სულ უფრო ხშირად აკითხავდა სამედიცინო დაწესებულებას, შემცირებულია თვითმკურნალობის მაჩვენებელი, განახევრდა იმ ადამიანების რაოდენობაც, რომლებიც უარს ამბობენ სამედიცინო მომსახურებაზე თანხის უქონლობის გამო, რაც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ღარიბაშვილისშეფასებით, საქართველოს მთავრობამ შეძლო უმთავრესი — ხალხს სახელმწიფო გვერდში უდგას.

„საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა სახელმწიფოს ვალდებულებაა და ჩვენ გვიხარია, რომ ეს მოვახერხეთ. ეს არის ჩვენი მთავრობის 24-საათიანი მუშაობის შედეგი. ჩვენ შევძელით უმთავრესი — ხალხს აქვს იმედი, რომ სახელმწიფო გვერდში უდგას და რომ მის ჯანმრთელობაზე ზრუნავს. გარწმუნებთ, რომ ჩვენ ბოლომდე გავყვებით აღებულ კურსს, ამ პროგრამას უფრო დავხვეწთ და დამატებითაც განვახორციელებთ სხვა პროექტებს, რომლებიც ქვეყანაში ჯანდაცვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს“, — მიმართა პრემიერმა პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას.

გასული წლის ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისა და დანახარჯების კვლევის მნიშვნელოვანი შედეგები მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს.

2014 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 99.9 პროცენტი რომელიმე ჯანმრთელობის დაზღვევით მაინც სარგებლობს, როცა 2007 წელს დაზღვეული იყო მოძალაქეთა მხოლოდ 14.1 პროცენტი, ხოლო 2010 წელს — 29.5 პროცენტი.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლეთა უმეტესობა — 51.4 პროცენტი დაზღვეულია პირველად, მათ შორის პენსიონერების, 0-5 წ. ბავშვებისა და სტუდენტების 23.7 პროცენტი. თუ ოთხი წლის წინათ ავადმყოფობის გამო კლინიკებსა და სტაციონარებს ავადმყოფთა 70 პროცენტი აკითხავდა, ეს ციფრი თითქმის 7 პროცენტით არის გაზრდილი, ხოლო თვითმკურნალობას 2014 წ. გაცილებით ნაკლებმა ადამიანმა მიმართა (2010 წ. — 8,7 პროცენტი; 2014 წელი — 6,2 პროცენტი). გაუმჯობესდა ექიმის ხელმისაწვდომობა სოფლის მოსახლეობისთვის. განსაკუთრებით ქალაქად გაიზარდა მედიკამენტებსა და ლაბორატორიულ გამოკვლევებზე ხელმისაწვდომობა (რომ არა ბოლოდროინდელი ინფლაცია, ალბათ, ამ მიმართულებით, უკეთესი მონაცემები იქნებოდა, მაგრამ მედიკამენტების ფასი დღითიდღე იმატებს, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება მომხმარებლებზე).

ეს ჩვენთვის ძალიან დიდი სტიმულის მომცემია, - ამბობს პრემიერ-მინისტრი

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, შემცირდა ფინანსური ხელმისაწვდომობის ბარიერები, ძირითადად, ამბულატორიული ვიზიტებისა და ჰოსპიტალური მომსახურების შემთხვევაში. მაგალითად, 2010 წელს ავადმყოფთა 2.6 პროცენტს სჭირდებოდა ჰოსპიტალიზაცია, მაგრამ არ მიუღიათ სამედიცინო დახმარება, ვინაიდან ეს ძალიან ძვირი იყო. შარშან ასეთი 1.25 პროცენტი დარჩა.

განსაკუთრებით საგრძნობლად იკლო ჯიბიდან გადახდილმა თანხებმა ჰოსპიტალური მომსახურების დროს, თუმცა, ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვის ჯიბიდან გადახდილი თანხა კვლავ მაღალია. თუ 2010 წელს პაციენტი იხდიდა ვთქვათ, 325 ლარს, 2014 წელს იხდის მეტს — 335 ლარს.

რაც შეეხება მოსახლეობის ინფორმირებულობას, საყოველთაო ჯანდაცვის შესახებ იცის 75 პროცენტმა, ხოლო ჯანდაცვის სისტემასთან ურთიერთობის გამოცდილება მომხმარებელთა 84 პროცენტს გაუუმჯობესდა.

„მართლაც წარმატებული იყო ორი წლის განმავლობაში ჯანდაცვის მიმართულებით ჩვენი პოლიტიკა და მინდა, აღვნიშნო ბატონი სერგეენკოს განსაკუთრებული წვლილი. სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა აღმოჩნდა ძალიან წარმატებული. ჩვენი მთავრობის მთავარი პრიორიტეტია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც თავიდანვე დავისახეთ მიზნად. კვლევის შედეგები კი მეტყველებს იმაზე, რომ ეს პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა. დღეს ჩვენი ქვეყნის არც ერთი მოქალაქე არ არის სახელმწიფოს ყურადღების გარეშე — ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს უფასო ჯანდაცვა. უპრეცედენტოდ გავზარდეთ ჯანდაცვის სექტორის სახელმწიფო დაფინანსება. დღეისთვის ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით, მათ შორის 3 200 000 ადამიანია ჩართული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, ხოლო 530 000 ადამიანი კერძო და კორპორატიული დაზღვევით სარგებლობს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საერთაშორისო ორგანიზაციების დადებითი შეფასება, სავარაუდოდ, აისახება ქვეყნის რეიტინგზეც. ეს კარგია, რადგან პიარის კუთხით მთავრობას სერიოზულად უჭირს. ჯანდაცვა კი ის ერთადერთი სფეროა, რაზეც მოსახლეობა და ყველაზე მკაცრი ოპონენტებიც კი სდუმან.

„რა თქმა უნდა, ჩემთვის და მთავრობის თითოეული წევრისთვის სასიხარულოა, როცა ჯანდაცვის მიმართულებით ჩვენი ძალისხმევა და წარმატებული რეფორმა აისახა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებულ კვლევაში. ეს არის ჩვენთვის ძალიან დიდი სტიმულის მომცემი“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმაც.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში კორექცია არ შეეხება ჯანდაცვის მიმართულებას. სოციალურ პასუხისმგებლობას მთავრობა არ გაურბის, თუმცა, ფინანსებთან ერთად საჭიროა მეტი ფიქრი იმაზე, რომ სერვისები დაიხვეწოს და რომ ჯანმრთელობის დაცვა ნამდვილად ხელმისაწვდომი და საყოველთაო გახდეს...

თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

ვეტერანებო, ერიდეთ თაღლითებს!

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. როგორც სამსახურისთვის ცნობილი გახდა, საზოგადოებაში გაჩნდნენ ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც არწმუნებენ ვეტერანის სტატუსის მაძიებელ პირებს, რომ კონკრეტული თანხის სანაცვლოდ ვეტერანის სტატუსის მინიჭებას შეძლებენ.

„გვსურს, გავაფრთხილოთ საზოგადოება, რომ აღნიშნული ქმედება არა მხოლოდ კანონით დასჯადია, არამედ მიზანმიმართულად ემსახურება სამსახურის დისკრედიტაციის მცდელობას. მივმართავთ საზოგადოებას, მსგავსი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, შემდგომი რეაგირებისათვის შეგვატყობინონ ცხელი ხაზის მეშვეობით, ნომერზე — 2 48 16 26“, — ნათქვამია განცხადებაში.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით, ვეტერანობის სტატუსის მაძიებელი დოკუმენტაციას წარადგენს სამსახურის შესაბამის ტერიტორიული ორგანოში, „ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია არასრულია, ჩვენი სამსახური ეხმარება ვეტერანის სტატუსის მაძიებელს შესაბამისი უწყებიდან საბუთების მოძიებაში“.

სამარშრუტო ტაქსით კომფორტულად უნდა ვიმგზავროთ

„თბილისის მიკროავტობუსი“ მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ სამარშრუტო ტაქსებში კონდიცირებასთან დაკავშირებით პრობლემები კომპანიის საინფორმაციო ცენტრში დააფიქსიროს. როგორც კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მძღოლები ვალდებულები არიან, გამაგრილებელი მოწყობილობები ჩართონ. კომპანიაში აღნიშნავენ, „თბილისის მიკროავტობუსი“ კატეგორიულად ითხოვს მძღოლებისგან კონდიციონერების ჩართვას და ამასთან დაკავშირებით მონიტორინგსაც აწარმოებს.

„უკმაყოფილების შემთხვევაში მგზავრებმა უნდა დარეკონ კომპანიის საინფორმაციო ცენტრში ტ: 2 200 340. ამასთანავე, მოგახსენებთ, რომ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ კატეგორიულად ითხოვს მძღოლებისგან კონდიციონერების ჩართვას. მონიტორინგის ჯგუფები, რეგულარულად ამოწმებენ მიკროავტობუსებს, იმ შემთხვევაში თუ შემოვა შეტყობინება, რომ რომელიმე მძღოლი არ რთავს გასაგრილებელ საშუალებას და თუ ეს შეტყობინება დადასტურდება, გატარდება შესაბამისი სანქციები, კერძოდ, 1. პირველ შემთხვევაზე მძღოლს ეძლევა სიტყვიერი გაფრთხილება; 2. მეორე შემთხვევაზე მძღოლს ერთი კვირით ეზღუდება სატრნასპორტო საშუალების მართვა; 3. მესამე შემთხვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მძღოლთან კომპანია წყვეტს ხელშეკრულებას“, — ნათქვამია განცხადებაში.

კომპანიის განცხადებით, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ ზაფხულის დადგომამდე 200 ათასს ლარზე მეტი ხარჯი გასწია სამარშრუტო ტაქსებში გასაგრილებელ საშუალებებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების აღმოსაფხრელად.

მცხეთა-მთიანეთში არც ერთი სოფელი გარე სამყაროს მოწყვეტილი არ არის

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილის კობა არაბულის განცხადებით, მცირე მეწყრების მიუხედავად, რეგიონში არც ერთი სოფელი გარესამყაროს მოწყვეტილი არ არის.

როგორც კობა არაბულმა განაცხადა, რამდენიმე მცირე მეწყერი ჩამოწვა, როგორც პირიქითა ხევსურეთში, ისე უკანა ფშავში, თუმცა არც ერთ მეწყერს სოფლამდე მისასვლელი გზები ან სოფელთან საკომუნიკაციო საშუალებები არ ჩაუხერგავს.

გუბერნატორის მოადგილის თქმით, პირიქითა ხევსურეთში, უხვმა ნალექმა პრობლემები მხოლოდ ერთ-ერთი სოფლის საცალფეხო გზას შეუქმნა, რომელიც უკვე გაწმენდილია.

27 ივნისის ჩათვლით წვიმიანი ამინდია მოსალოდნელი

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოლოგიური სამსახურის უფროსმა, სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა, 27 ივნისის ჩათვლით ქვეყნის ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ძლიერი წვიმა ელჭექით, ზოგან სეტყვაც. წვიმის დროს ქარი გაძლიერდება, რომლის სიჩქარე წამში 17-22 მეტრი იქნება.

სინოპტიკოსები ძლიერ წვიმას განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს დაბლობში, ასევე მთიან და მაღალმთიან რაიონებში ვარაუდობენ. თუმცა, ნიორაძე აცხადებს, რომ ძლიერი წვიმა შესაძლოა, აღმოსავლეთ საქართველოს ბარშიც იყოს.

დასავლეთ საქართველოს ბარში ჰაერის ტემპერატურა 23-28 გრადუსი იქნება. შემდგომ დღეებში შესაძლოა, რამდენიმე გრადუსით დაიკლოს. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში კი, ჰაერის ტემპერატურა 29-34 გრადუსი იქნება.

ინტერპრესი

ახლა ლაყბობა და პოლიტიკური სპეკულაცია კი არა, საქმეა საჭირო!

თბილისში მომხდარი სტიქიის გამომწვევ მიზეზებსა და სამომავლოდ განსახორციელებელ ქმედებებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი.

— არსებობს ტერმინი „ღვთის რისხვა“, როგორც ჩანს, დავიმახსოვრეთ. თუნდაც იმიტომ, რომ ათწლეულების მანძილზე არ ვიღებთ შესაბამის ზომებს, რათა მთის ფერდობები ხეებისგან არ დაიცალოს. ეს არცთუ ისე გამჭვირვალე ბიზნესი, რასაკვირველია, საფრთხის შემცველი იყო, არის და იქნება, თუ ხელისუფლებებს არ ექნებათ ერთიანი მიდგომა ბუნების მიმართ. ამ ვითარებას ამძიმებს ისიც, რომ პროფესიონალები, რომელთაც ხელეწიფებათ პროგნოზირებაც, საფრთხის თავიდან აცილებაც და წინმსწრებად გარკვეული შეფასებების ჩამოყალიბებაც, აღმოჩნდნენ „ჩარეცხილები“. რამდენიმე დღეა, ვისმენთ ამ ადამიანების გამოსვლებს და კიდევ უფრო გულდასაწყვეტია, რომ ასეთი ინტელექტუალური კაპიტალის მქონე ერს არ მიეცა საშუალება, რაიმე მკაფიო ინფორმაცია ჰქონოდა არსებულ და შესაძლო ბუნებრივ კატასტროფაზე.

— ფიქრობთ, რომ სტიქიის შემდეგ დღევანდელი ხელისუფლება უფრო აქტიურად ითანამშრომლებს ამ ადამიანებთან?

— დღესაც ხელისუფლებისგან ვისმენთ, რომ სიტუაციის შესაფასებლად უცხოელ ექსპერტებს ჩამოიყვანენ. უკაცრავად, იქნებ ჯერ საკუთარ „ჩარეცხილებს“ მოვუსმინოთ და ისინი შევახვედროთ მერე მოწვეულ ექსპერტებს?! ნებისმიერი საქმიანი მსჯელობა საჭიროა უპოლიტიკოსოდ. სამწუხაროდ, ტრაგედია უკვე იქცა პოლიტიკური დაპირისპირების გამძაფრების საშუალებად. სირცხვილია, როდესაც ვგლოვობთ, თანაქალაქელებს ხან ვპოულობთ და ხან ვერა, დაახლოებით 20 ადამიანი გადაჰყვა ამ ტრაგედიას და ამ დროს ვისმენთ გარკვეული პოლიტიკური ძალების საუბრებს დღევანდელი ხელისუფლების უსუსურობაზე. ძალიან მძიმეა მოსმენა, როდესაც ესა თუ ის პოლიტიკური ძალა ამ ყველაფრით ცდილობს, პოლიტიკური შემადგენელი წინ წამოსწიოს. ლაყბობის ნაცვლად რომ რაიმე კონკრეტული ნაბიჯები გადადგან, უმჯობესია.

— რას ურჩევდით პოლიტიკურ ძალებს ამ ვითარებაში?

— ვიდრე სიტუაცია არ დაწყნარდება, თავშეკავებულობა მართებთ პოლიტიკოსებს. ნებისმიერი პოლიტიკური განცხადება ამ ვითარების შესახებ უზნეობაა და მიუღებელია საზოგადოებისთვის. პოლიტიკოსებს ვურჩევ, მიჰბაძონ და გაკვეთილი აიღონ მოხალისეებისგან, იმ ადამიანებისგან, რომელთათვისაც დახმარების სათხოვნელად დაძახება საჭირო არ გამხდარა. ეს ახალგაზრდები, თავანთი სულიერი განწყობიდან გამომდინარე, დაუფიქრებლად გამოვიდნენ თანაქალაქელთა გადასარჩენად და მათთვის კეთილდღეობის დასაბრუნებლად. საკმაოდ დიდი ხანია, რაც ამჟღავნებენ უმაღლეს მოქალაქეობრივ თვისებებს. ამას ევროპაში სამოქალაქო საზოგადოებას ეძახიან. აი, ამ ახალგაზრდებს უნდა მიჰბაძონ ახალგაზრდა პოლიტიკოსებმაც, რომელთაც, პრაქტიკულად, ტელემაყურებელი და მკითხველი უკვე აღიქვამს, როგორც მიტინგომანიით შეპყრობილ პირებს. საკუთარი კარიერის პერსპექტივაზე, უმჯობესია, მას შემდეგ დაფიქრდნენ, როდესაც ყველაფერი რიგზე იქნება.

— უნდა აღძრულიყო თუ არა სტიქიის გამომწვევ მიზეზებზე სისხლის სამართლის საქმე?

— ნაადრევად მიმაჩნია პროკურატურაში დაწყებული ძიება, რომელიც იკვლევს, თუ რა იყო შეცდომა, რა იყო მიზეზი და რა იყო დანაშაული. ვიდრე ქართველი უმაღლესი კვალიფიკაციის ექსპერტები თავისუფალ რეჟიმში არ გაუცვლიან ერთმანეთს საკუთარ შეხედულებებს, მანამდე მათი პროკურატურაში ტარება არის სწორედ ის ქცევა, რასაც ხშირად გვახსენებენ საზღვარგარეთიდან და აღქმულია როგორც პოლიტიკური ზეწოლა. ნაადრევია, ბატონებო, ცხელი გონებით ჭეშმარიტებას ვერ დავადგენთ, ყველაფერს დრო და სიდინჯე სჭირდება. მოსწრებაზე რაიმე საქმის გაკეთება მხოლოდ სპორტში შეიძლება, ვინ ვის მიასწრებს, რომ ბურთი დაარტყას კარში. როდესაც ასეთი კატასტროფაა სახეზე, მხოლოდ ანალოგიური უბედურების განმეორების პრევენციაზე უნდა ვიზრუნოთ. ჯერ პროფესიონალებმა გული უნდა იჯერონ ერთმანეთთან კამათით და ეს იქნება სრულიად საჯარო კამათი, რომელშიც მოსახლეობაც გაიზიარებს რომელიმე მხარის აზრს. მთავარია, ყველაფერმა ამან პოლიტიკური დატვირთვა არ მიიღოს.

თანდათან გონს მოეგება თითოეული ჩვენგანი, გადავიტანთ ამ დიდ ტკივილსაც. მაგრამ, ფაქტია, რომ ამ უბედურებამ შვა სხივი უკეთესი პერსპექტივისა და ამ სხივს ახალგაზრდა მოხალისეები ჰქვია.

— უკრაინის შს მინისტრმა არსენ ავაკოვმა სოციალურ ქსელში დაწერა ანეკდოტი ქართველ ჰიპოპოტამზე, რაზეც სააკაშვილს ბევრი უცინია. როგორ ფიქრობთ, რამ გაამხიარულა მისხეილ სააკაშვილი?

— ავაკოვის განცხადება უფრო საბაბია, ვიდრე მიზეზი. მიზეზი კი უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია, რადგან ამ ქართველი მამლუქის მიმართ, როგორც ჩანს, ავაკოვის დამოკიდებულება დიდად თბილი არაა. ავაკოვმა აღწერილი ფაქტი გამოიყენა, როგორც გარკვეული გულის მოფხანის შესაძლებლობა.

ნენე სტეფანიშვილი

თანხის დადგენა კარგია, მაგრამ ფული საიდან?!

ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია აცხადებს, რომ მან და სპეციალისტთა ჯგუფმა დედაქალაქში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი დათვალეს და დაადგინეს, რომ ზარალის ანაზღაურებასა და პრევენციის ზომების გატარებას 1 მილიარდ 400 მილიონი ლარი დასჭირდება. ამის შესახებ ჯგერენაია „რეპორტიორს“ ესაუბრა და სურვილი გამოთქვა, რომ მთავრობას აღნიშნული ჯგუფის ინიციატივა და მათ მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმა გააცნოს.

ემზარ ჯგერენაია მთავრობას ინიციატივით მიმართავს

— დაახლოებით 1 მილიარდ 400 მლნ დოლარია დათვლილი, რომ აღდგეს ის ინფრასტრუქტურა და განხორციელდეს პრევენციული ზომები, რათა მომავალში არავის სიცოცხლე არ იყოს საფრთხის ქვეშ. უნდა გაუმჯობესდეს ეკოლოგიური სიტუაცია ვერეს ხეობაში, უნდა გაკეთდეს ჯებირები, უნდა აშენდეს წყალსაცავი, რომელიც მსგავს საფრთხეს სამუდამოდ მოხსნის, უნდა აღდგეს მთლიანად დანაკარგი, მოსახლეობამ 100 %-იანი კომპენსაცია უნდა მიიღოს, ზოოპარკი უნდა გადავიდეს უსაფრთხო ტერიტორიაზე, რეკრეაციული ზონა უნდა გაკეთდეს. ამ ადგილას უნდა გაშენდეს თბილისელებისთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი პარკი. რა თქმა უნდა ამას ინვესტორებისა და დონორი ორგანიზაციების მხრიდან დახმარება დასჭირდება. მდინარე ვერემ თბილისელები აღარასდროს უნდა შეაწუხოს და ეს ტრაგედია აღარ უნდა განმეორდეს. 19 გარდაცვლილი ადამიანი უნდა გახდეს საწინდარი, რომ მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ამ ყველაფრის განხორციელება უნდა მოხდეს სპეციალისტების გათვლებითა და დასკვნებით.

— აპირებთ, თქვენი ინიციატივა მთავრობას გააცნოთ? და როგორ ფიქრობთ, რამდენად დაინტერესდება მთავრობა თქვენი გეგმით?

— ეს არის ექსკლუზიური ინფორმაცია. რა თქმა უნდა, მზად ვართ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის. რასაც ვუყურებ, ჯერჯერობით ხელისუფლება შედეგების ლიკვიდაციით არის დაკავებული. ჯერ არ ფიქრობენ სიღრმისეულად, როგორ განვითარდეს სიტუაცია. მესმის, რომ ბევრი პრობლემა არსებობს, ამდენი ადამიანი დაიღუპა, ამხელა ზარალია, იქ მცხოვრები ადამიანები ახლაც ძალიან ცუდ დღეში არიან. მათ ყველაფერი უნდა აუნაზღაურდეთ იმ დონეზე, რა დონეზეც ჰქონდათ მოწყობილი. შესაბამისი ფართით უნდა დაკმაყოფილდნენ დაზარალებულები, სახელმწიფომ ყველა პირობა უნდა შეუქმნას. ვფიქრობ, მივაწვდენთ ხმას ხელისუფლებას და ვიმუშავებთ ამ მიმართულებით. ჩვენი გეგმა არ მოიცავს მხოლოდ შედეგების ლიკვიდაციას. ქვეყანაში შემოვა ვალუტაც, დონორებსაც დავარწმუნებთ, რომ დაგვაფინანსონ, საკმაოდ გაჩნდება სამუშაო ადგილები და ლარის კურსიც დასტაბილურდება. ამ ტრაგედიას და ამ ტკივილს გამოვიყენებთ, პირიქით, სასიკეთოდ, რომ ქვეყანამ უკეთესად იცხოვროს.

— კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა მიმართულებებით უნდა განხორციელდეს სამუშაოები?

— მუშაობა მიმდინარეობს ისტორიული კუთხითაც. თბილისს ახსოვს მტკვრის საშინელი ადიდებები. რომ არ გადადგმულიყო პროგრესული ნაბიჯები მშენებლობასა და გეოლოგიაში, დღეს ჩვენ არ გვექნებოდა დედაქალაქი, რომელიც მტკვრის ირგვლივ არის გაშენებული და ვერ ვიამაყებდით ამით. მტკვარი რომ არანაკლებ სახიფათო მდინარეა, ვიდრე ვერე, ეს ყველამ კარგად ვიცით. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ უემოციურად, სუფთა პროგრესული მიდგომებით, სხვადასხვა კუთხით უნდა ვიმუშაოთ. ძალიან მნიშვნელოვანია ეკოლოგია, მნიშვნელოვანია ურბანული საკითხები, სოციალური საკითხები, რეკრეაციული ზონის აღდგენა, გზა, თბილისის განტვირთვა, ინვესტიციების მოზიდვა და ა.შ.

დღეს მსოფლიო ისე განვითარდა, რომ ქვიშაში და ზღვაში აშენებენ ქალაქებს. ამიტომ, მოვუსმინოთ სპეციალისტებს, ავწონ-დავწონოთ არგუმენტები და შემდეგ ვიმოქმედოთ.

— ამხელა თანხის მობილიზება როგორ მოხდება, ხომ არ დააწვება ტვირთად ეს პროექტი ქვეყნის ბიუჯეტს?

— თქვენ იცით, რომ 2015-2016 წლები ზოგადად მძიმე წლებია ბიუჯეტისთვის, რადგან ეკონომიკური ზრდა ნაკლებია და მსოფლიოში რთული სიტუაციაა. აქ კიდევ ზედმეტი ტვირთი ბიუჯეტზე ძალიან შეუშლის ხელს ქვეყნის განვითარებას. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძირითადი თანხების მობილიზება უნდა მოხდეს ინვესტორებისა და დონორი ორგანიზაციებისგან.

ნანა სტეფანია

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ფრაზები

● **მდინარე ვერეს ტალახიანმა წყალმა გაწმინდა თბილისი! ჩამორეცხა და ძალიან კარგად გამოჩნდა, ვინ-ვინ არის. ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ პოლიტიკანები, რომლებიც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით „გვმოძღვრავენ“, მხოლოდ მოსიარულე აუდიოჩანაწერები ყოფილან. ე.წ. „ცნობადი სახეები“ — საპნის ბუშტები, რომლებიც ბრჭყვიალებენ, მაგრამ ძალიან მალე სკდებიან.**

გამოჩნდა ბრწყინვალე ახალგაზრდობა და ძველგაზრდობა, რომლებმაც იშრომეს და თუ საჭირო იქნება, კვლავაც იშრომებენ.

მოკლედ რომ ვთქვა, ვერეს ტალახიანმა წყალმა გაწმინდა თბილისი!

● **მზია შარაშიძე: დღეს, ვიპოვეთ კიდევ ერთი პინგვინი, კარგ მდგომარეობაში, სუფთა...**

მიშენების პერსპექტივა თუ აქვს, მზია და სველი წერტილებიც გვითხარი, ბარემ, რამდენი აქვს?

● **დიმა ობოლაძე ანტიბიოტიკებზე და „ფაგებზე“ ესაუბრება მოხუც პროფესორს და რაღაცეებში არ ეთანხმება.. იეღოვა, შენ დაიფარე „სხვა შუადღის“ თანამშრომლები!**

● **ზოლებიანი აფთარი უკვე მიაქურქა ეკა ბესელიამ, აღარ ეძებოთ.**

● **ამ საზმაუს სპორტულ კომენტატორებს უთხარით, რომ ხანდახან დუმილი ოქროა.**

საოცარი ქვეყანაა, საოცარი, აგერ სულ არ ელოდები, უცებ ბახ და ჯუნგლებში ხარ, საოცრად ცხელა, მტაცებლები დარბიან, ეგაა ცუდი, ეს ჯართის შემგროვებლები არღვევენ რომანტიულ გარემოს.

ერო, ადგილზე ნაბიჯით იარ, ტკეპნ ტკუპნ, ტკეპნ ტკუპნ, 1 წელი, 10 წელი, 20 წელი, ვაااااااახ.

● **ანიმისტური სულიერ-ეზოთერიული მოძრაობა „მე მიყვარს ჩემი ზოოპარკის დირექტორი „თავისი არსით ლატენტურად „მიშას“ სიყვარულსაც გულისხმობს, „მიშას“ ერთგვარი რეინკარნაცია ზოოპარკის დირექტორში, და მისი ტოტემის „თავისუფალ,ზოლებიან აფთარში“ ნათელი მტკიცებულებაა „მიშიზმის“ როგორც იდეისა და აბსოლუტის უკვდავებისა სამყაროში, ოდესა კი ერთგვარი „მეორე იერუსალიმია“ ამ ნათელი არსებებისათვის!**

● **ეს ჩვენი ლარი რომ ებრძვის დოლარს, მაგრად ვგულშემატკივრობ,ისეთი განცდა მაქვს, აი „დინამო“ რომ ჰამბურგს ეთამაშებოდა!**

● **იმ ნათელი ახალგაზრდა ბიჭის, უანგარო და უხელფას-უპრემიო სიყვარული თავისი ქალაქისა, საშიში პრეცენდენტია ჩვენი ქალაქის მთავრობისათვის და მისი სასწრაფოდ დახელფასება, დროული პრევენციაა იმისა, რომ მსგავსმა შემთხვევებმა სტიქიური ალტრუიზმისა, მეწყერსაშიში ხასიათი არ მიიღოს!!!**

ხომ შეიძლება ხალხმა ნარმანიას ერთი თვე უხელფასოდ ან უპრემიოდ სიყვარული მოსთხოვოს?

ისე, ოდესელები ამბობენ; სიყვარული რუსებმა მოიგონეს, ფული რომ არ გადაეხადათო. ნამდვილი ქართული სიყვარული კი ვერტიკალურია, ფასიანი და თანაც ბრუნვადი.

მოკლედ,თუ უფასოდ გიყვარს სამშობლო, უკვე საეჭვოა, რუსეთის აგენტი ხომ არ ხარ?!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ტრაგედია, რომელმაც შეძრა ქვეყანა

კოკისპირული წვიმის შედეგად დატრიალებული ტრაგედია მრავალი წლის განმავლობაში გაჰყვება ქვეყანას. გაჰყვება ისე, როგორც გასული საუკუნის სამოციან და სამოცდაათიან წლებში მომხდარი უბედურება, ისიც წყლის მოვარდნის სახით, დიდი ნალექის მოსვლის გამო. გაჰყვება იმაზე მეტად მწარედ, ვიდრე ადრინდელი, თუნდაც მარტივი მიზეზის გამო – იმჟამინდელს ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია. ამჟამინდელს – მოჰყვა და მერე როგორი.

ადამიანთა მსხვერპლს ემატება ზოოპარკის ცხოველთა მსხვერპლი – ძვირად ღირებულთა, ბავშვთა აღზრდისთვის უმნიშვნელოვანესთა.

მოვარდნილმა წყალმა წალეკა მიმდებარე ტერიტორია. უსერიოზულესი პრობლემა შექმნა სატრანსპორტო კომუნიკაციების საქმეში. გააჩინა არაერთი უსახლკარო ოჯახი – მძიმე ტვირთი სახელმწიფოს ისედაც მწირი ბიუჯეტისთვის. როდის, რა დონით მოხდება დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილება – ძნელი სავარაუდოა. ჯერაც დაუკმაყოფილებელია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულების საცხოვრისთან დაკავშირებული საკითხები.

ხელისუფლება მუშაობს, თითქოს ოპერატიულად, მაგრამ მოზღვავებული პრობლემები, გამოუცდელობა, ნაკლები პროფესიონალიზმი არ აძლევს მას საშუალებას სწრაფი და ეფექტიანი რეაგირებისთვის. მაგრამ ვიყოთ გულწრფელნი და ვთქვათ – მოველოდით მისგან (ხელისუფლებისგან) თუნდაც ასეთ მოქმედებას?!

„ოცნების“ ხელისუფლების განვლილი მუშაობიდან გამომდინარე – ნამდვილად არა! ალბათ ეს არის მთავარი ხალხის პასუხებში, რომლებიც ტელეჟურნალისტთა შეკითხვაზე – როგორ მოგწონთ ხელისუფლების მუშაობა, უყოყმანოდ აცხადებენ, დადებითად! ამ პასუხში უფრო მეტი ემოციაა და მასთან ერთად წინა ხელისუფლების სიძულვილი, რომელთა გამოისობითაც გაინავარდა სტიქიამ.

მე, იმ რესპონდენტთა კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც საჯაროდ ამბობენ – ხელისუფლების მოჭარბებული ქება, კრიზისული ვითარების დროს, მთლად მისაღები არ არის და აი, რატომ – ხელისუფლებამ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. და უნდა გაეკეთებინა იმიტომ, რომ ეს მისი მოვალეობაა. ასეა ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი ბუნებრივი თუ არაბუნებრივი კატაკლიზმის დროს.

ბუნებრივი კრიზისის პიკმა ჩაიარა, მაგრამ დარჩა პრობლემების კასკადი, რომელთა ამოხსნაც ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. მათ დრო და სახსრები სჭირდება. გარდა ამისა, ჩავლილი ვითარების საფუძვლიანი შესწავლა, ანალიზი და დამნაშავეთა გამოვლინება, დასჯა. სისხლის მსმელობას ნუ დამაბრალებთ, მაგრამ მდინარე ვერეს ხეობაში „თათარიახნად“ განხორციელებული მშენებლობა, რომ კარგს არაფერს მოიტანდა, იმთავითვე იყო ცნობილი. თქვენმა მონა-მორჩილმა არაერთი სტატია მიუძღვნა გმირთა მოედნის უნიათო ესტაკადასა და მდინარის ხეობაში გადებულ გზას. უდავოდ დიდი „ნიჭი“ იყო საჭირო, რომ საცობებით ცნობილ გმირთა მოედანზე, კიდევ მეტი საცობები შექმნილიყო.

ესტაკადას იმიტომ აშენებენ, რომ განიტვირთოს გადატვირთული სატრანსპორტო კვანძი და არა პირიქით. მშენებლობის ავტორს პირიქით გამოუვიდა. „დეზერტირის“ ბაზრიდან მოდინებულ ტრანსპორტს „ჩაწყობა“ სჭირდება ესტაკატაზე მოსახვედრად.

ანალოგიური ვითარებაა სანაპიროდან მომავალი ტრანსპორტისთვის. მარტო ამ დისკომფორტისთვის ღირდა პროექტის ავტორთა „შეწუხება“ შესაბამისი ორგანოების მხრიდან, მაგრამ ეს არ მომხდარა. შეგნებულად არ ვეხები მდინარე ვერეს ხეობას და იქ განხორციელებულ მშენებლობას. ამაზე ალბათ პროკურატურა იტყვის, მაგრამ იტყვის? ან როდის? მას ხომ უამრავი საქმე აქვს გამოსაძიებელი – წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი? ამჯერად მაინც მიექცეს ყურადღება და დროულად იქნას გამოძიებული საქმე. ამას მოითხოვს დაღუპულ ადამიანთა სულები.

დატრიალებული ტრაგედია სამაგალითოდ უნდა იქცეს თბილისის მერიისთვის და წერტილი უნდა დაესვას იმ უკანონო, ვითომ კანონიერ მშენებლობებს, რაც თბილისში ხდება. უნდა შეწყდეს ვერეს ხეობაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, როგორც ბუნებასთან, ფლორასთან შეუთავსებელის. წერტილი უნდა დაესვას დეველოპერთა ღორმუცელობას, რომელებიც უმოწყალოდ ჩეხავენ და ანადგურებენ მრავალწლიან ხეებს, მწვანე ოაზისებს – სიმწვანით მწირ თბილისში.

წერტილი უნდა დაესვას იპოდრომისა და ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიების გაჩეხვას და საცხოვრებელი კორპუსების, რესტორნების ჩადგმას. წერტილი უნდა დაესვას ძონძებჩამოფარებული, თბილისისთვის უნიკალური შენობების უაზრო დაკონსერვებას, ე.წ. მეპატრონეთა თავხედობას, რომლებიც მიუხედავად დაპირებისა, რეკონსტრუქციის ჩატარებასთან დაკავშირებით, თითსთითზე არ ადებენ. როდის უნდა ეღირსოს დედაქალაქს რეკონსტრუქციაჩატარებული „იმელის“, „თბილისის უნივერმაღის“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ყოფილი, აბრაშუმსაქსოვის შენობები? ამ უკანასკნელს რომ რაღაც ფუნქცია ჰქონოდა, ზოოპარკის ვეფხვი ხომ არ შეაფარებდა იქ თავს?

ჩაიკეტა გმირთა მოედანი და უმალ გაჩნდა ვაკე-საბურთალოსთან დაკავშირების პრობლემა. ჭონქაძის ქუჩიდან დაწყებული, აბაშიძის ქუჩის ჩათვლით, ისეთი საცობი შეიქმნა, რომ 2 საათიც კი ნაკლები გამოდგა იქიდან თავის დასაღწევად. მერიამ ვერაფრით მოიფიქრა – დროებით, მელიქიშვილის ქუჩის ორმხრივი მოძრაობის გახსნა. ვერც მერიამ და ვერც პატრულმა ვერ მოიფიქრეს თავისუფლების მოედნიდან ვაკემდე, ზემო გადასასვლელი გზის თუნდაც ერთი საპატრულო მანქანით უზრუნველყოფა.

უკვე მერამდენე დღეა და მერია ვერ ახერხებს მტვრით დაბურული ტროტუარების, სამანქანო გზების ჩარეცხვას ისე, როგორც თამარაშვილის გზის დაწყებული მოასფალტების დამთავრებას. მოვარდნილი წყლის შემდეგ, ახლა მტვრის ავარდნილი ღრუბლებით ვიხრჩობით. თბილისელები „მედგრად“ ვიტანთ ამას, ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე. არადა სახანძრო მანქანებით ქუჩის ჩარეცხვას რა უდგას? ამასაც ხომ დიდი თანხები არ სჭირდება?!

მერია უნდა იყოს კატეგორიული წინააღმდეგი ისეთი მშენებლობებისა, რაც ხდება თბილისის უბნებში: სპორტის სასახლის წინ და ირგვლივ, „დეზერტირების“ ბაზრის გაყოლებით – სავაჭრო პავილიონების ტროტუარებზე და ავტოსადგომზე ჩადგმის, რომელიღაც „ფეოდალის“ მიერ ბაზრის წინ მდებარე ტერიტორიის შემოღობვის და კერძო ავტოსადგომის გახსნის; დელისში, ტროტუარზე ვებერთელა აფთიაქის შენობის დაყუდების; თბილისის „პანორამით“; ძველი ქალაქის „გაუპატიურების“ და ა.შ. მაგრამ თბილისის პრობლემები ხომ მარტო მერიის პრობლემები არ არის? ის საქართველოს და მისი მთავრობის პრობლემებიცაა.

საშინაო საკითხები მჭიდროდ უკავშირდება საგარეოს და თუ საშინაოში მოვიკოჭლებთ, საგარეოშიც ვერ ვივლით გამართული. დღეს ძნელია საშინაოსა და საგარეოს ერთმანეთისგან დაშორება ისე, როგორც ეკონომიკისა პოლიტიკისგან. ეს განსაკუთრებით ჭირს „დამოუკიდებელ“ საქართველოში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციაში „ნატრენინგალი“ ყმაწვილი ხან ქვეყნის საშინაო ცხოვრების „აღმშენებლობით“ არის დაკავებული და ხან საგარეო საქმეებით.

როგორც ჩანს, მეტიჩარა და თავსგასული პოლიტიკოსების პარპაში უკიდეგანო და უსასრულოა. სწორედ ასეთმა ვოლუნტარიზმმა დააქცია საქართველო და თანაც ისე, კარგა ხანს რომ არაფერი ეშველება.

რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, რაზეც კულისებშია საუბარი, საქართველოს ცუდის მეტს არაფერს მოუტანს, ვინაიდან ანტირუსულია და ჩვენი მეზობელიც შესაბამის ნაბიჯს გადადგამს. ჩვენ ანგარიშს ვერ ვუწევთ ერთ რამეს – მთელი საქართველო რომ ანტისარაკეტო ქსელში მოექცეს, რუსეთის რაკეტებს, სასაცილოდაც არ ეყოფათ.

სულ ახლახან, პუტინმა განაცხადა, რომ წლის ბოლოდე რუსეთის არმია უახლეს 40 ბალისტიკურ რაკეტას მიიღებს, ისეთს, რომელიც ნებისმიერ ანტისარაკეტო სისტემას გაანადგურებს.

ბალისტიკური რაკეტები კი სულაც არ არის საჭირო ერთი მტკაველი საქართველოს მოსასპობად. ამ შემთხვევაში საშუალო სიშორის რაკეტებიც საკმარისია. გარდა ამისა, რუსეთს, რომელიც შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის პროცესშია, სულაც არ სჭირდება რაკეტები. მას სხვა იარაღიც თავზე საყრელად აქვს, საქართველოს მოსახლეობის ძილის დასაფრთხობად. მაშ, რისთვის იღვწის ხიდაშელი ან რისთვის „ჩალიჩობდა“ ალასანია? იმისთვის, რომ ვიღაც ოკეანისგადაღმელმა წამქეზებელმა შეაქოს. შეაქოს და დიდხანს დატოვოს თანამდებობაზე, პოლიტიკაში?

გლობალიზაციის ეპოქაში რომ მთელი რიგი ქვეყნების მიმართ უსუსური საქართველო სავიზო რეჟიმს შემოიღებს – სატირალია და ვინ არის ამის შემოქმედი? – უცხოეთში „ნატრენინგალი“ და ნამუშევარი, იურისპრუდენციის „კარუზო“ წულუკიანი. მის მიერ შემუშავებულმა კანონმა – პარლამენტგავლილმა და დამტკიცებულმა, მილიონობით დოლარ-ევრო დააკარგვინა ქვეყანას. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოში არ შემოსულიყო ირანელი, ჩინელი, ევროპელი, ერაყელი. უმთავრესად კი ირანელი. რატომ? – იმიტომ, რომ აშშ-სა და ისრაელს არ უყვართ ეს ქვეყანა. იმიტომ, რომ აშშ ნომერ პირველ მტრად მიიჩნევდა ირანს. რა იქნება ამ თვის ბოლოდან, ყველასთვის ნათელია.

მკითხველს შევახსენებ, რომ ივნისის ბოლოს ხელი მოეწერება ხელშეკრულებას ირანსა და „ექვსეულს“ შორის (გაეროს 5 მუდმივი წევრი და გერმანია), რის შემდეგაც მოიხსნება ყველა სანქცია ირანის წინააღმდეგ და დაიწყება აქტიური თანამშრომლობა ირანსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. საქართველო?

საქართველო აღმოჩნდება შორს სანაგვეზე მოსროლილი, იმისთვის, რომ არ გამოიჩინა გონიერება და ცალმხრივად აჰყვა დასავლურ პროპაგანდას. დასავლელები კი, აქაოდა სანქციები აღარ იქნებაო, ირანის საზღვართან რიგში არიან ჩამდგარნი სარფიანი ბიზნესის გასაჩაღებლად. თქვას ახლა წულუკიანმა – ამ კანონის მიღებისთვის ევროკავშირმა შეგვაქოო. შესაძლოა, ეს ასეც იყო, მაგრამ საქართველომ რომ მილიონობით უცხოური ვალუტა დაკარგა?!

პატივცემულო მკითხველო, მსოფლიოში მოგეპოვებათ ქვეყანა, ცხადია საქართველოს გარდა, რომელიც სხვა ქვეყანასთან აწყობილ ტურიზმსა და ბიზნესს დაანგრევს; გზას გადაუკეტავს მას; არ მისცემს ბიზნესის წარმოების საშუალებას; აუკრძალავს საბანკო ოპერაციებს; გაწყვეტს საჰაერო კომუნიკაციას და ა.შ.? და ეს ყველაფერი საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა ირანის წინააღმდეგ.

საქართველოს ხელისუფლებამ ირანთან გაფორმებული უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულება ცალმხრივად გააუქმა და ირანელებს ისეთი სავიზო რეჟიმი დაუწესა, თავის დროზე ალბანეთის ლიდერი ენვერ ხოჯაც რომ ვერ ინატრებდა.

საქართველოში შემოსასვლელი ვიზის მისაღებად, ირანელს 50 კითხვაზე უნდა გაეცა წერილობითი პასუხი, ლამის მეზობლების ფეხსაცმლის ზომებიც უნდა აღენიშნა კითხვარში. და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეს უვიზოდ შეეძლო და შეუძლია ირანში შესვლა.

„დემოკრატიული“ საქართველო ფეხქვეშ თელავს ორ ქვეყანას შორის პარიტეტულობის პრინციპს. მართალია, წელს რაღაც-რაღაცები შეიცვალა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ვიცე-პრემიერი ეწვივნენ ირანს, დაპირებაც აღუთქვეს ირანის ხელისუფლებას საქმის გამოსწორებისთვის, მაგრამ ...

გადაიდგა ნაბიჯები, თუმცა, ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ირანისთვის. 50-პუნქტიანი კითხვარის შემცირება და სავიზო მოსაკრებლის დაკლება, ელექტრონული ვიზის შემოღება – არ არის ის, რასაც ირანი აკეთებს ჩვენს მიმართ (საქართველოს მოქალაქის თავისუფალი შესვლა ირანში).

არის ერთი ნოვაციაც – თუ ირანელს პასპორტში აქვს აშშ-ს ან ევროკავშირის ნებისმიერი წევრის, მაგალითად ლიტვის, მიერ გაცემული ვიზა, მას შედარებით იოლად მისცემენ საქართველოს ვიზას. ეს ნოვაცია არა მარტო ირანს ეხება, არამედ ჩინეთს, ეგვიპტეს, ერაყს. აქვე იბადება კითხვა – არის თუ არა ეს შეურაცხმყოფელი ამ ქვეყნებისთვის?

ლიტვა, ჩინეთის ნებისმიერი სოფლის მოსახლეობის ნახევარსაც ვერ უტოლდება, მაგრამ ქართველების მიერ საზომ ერთეულადაა ქცეული. აქვს ირანელს პასპორტში ლიტვის ვიზა და გზა საქართველოსკენ ხსნილია.

რჩევისთვის. იქნებ ლიტვას, ესტონეთს ან ლატვიას გაეცა საქართველოს ვიზა? მკითხველო, არ დაგავიწყდეს ერთი რამ, ვიზადაწესებული ქვეყნები მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად არიან აღიარებული აი, ასეთი შეურაცხყოფა! გარდა ამისა, ჩინეთი ხომ მსოფლიოს მეორე ეკონომიკაა? მაგრამ, როგორც ჩანს იურისპრუდენციის „კარუზომ“ არ იცის ამის შესახებ და არ აცის არა მარტო მან, არც არავინ ამ მთავრობიდან.

არანაკლებ ბუნდოვანია საჰაერო მიმოსვლის დაპირების შესრულება. ქართულ მხარეს, რატომღაც არ მოსწონს ირანული ავიაკომპანია „მახანი“, რომელმაც უნდა განახორციელოს ფრენები. ევროპელები არ ემადლიერებიანო მას – ვაცხადებთ ჩვენ. არადა, როგორ დაფრინავენ მისი თვითმფრინავები ევროპაში?

საქართველოს ირანთან კვირაში 3-4-ჯერ ჰქონდა საჰაერო კავშირი. ზაფხულის განმავლობაში არსებობდა ჩარტერული რეისები ირანის ქალაქებსა და ბათუმს შორის. ათასობით ტურისტი სარგებლობდა ამ რეისებით. ხელისუფლებამ გააუქმა ყოველივე და ირანში წამსვლელს „შესანიშნავი“ პირობები შეუქმნა – ტრანზიტი სხვა ქვეყნის გავლით. მაგალითად, ბაქოს გავლით მგზავრს 12 საათის ყურყუტი უწევს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში.

„მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო“ – ასეა საქართველოს ხელისუფლების საქმე. არადა, ქვეყნის მწირი არსებობა რომ სულ სხვას მოითხოვს? საქართველო რომ სულ სხვა კონტინენტზე იყოს და ჩვენც მისგან საკმაო დაშორებით ვცხოვრობდეთ, ნაკლებად ვიფიქრებდით მის აწმყოსა და მომავალზე. მაგრამ ეს ქვეყნაც იქ არის, სადაც არის და ჩვენც იქ ვართ, სადაც უნდა ვიყოთ და იმდენად შეგვტკივა გული, რამდენადაც საკუთარზე, ღვიძლზე უნდა შეგვტკიოდეს. მაგრამ უნდა ხელისუფლებას ჩვენი გულისტკივილი?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ვიზიტიორები შეუმცირდათ

მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია!..

სტიქიის გამო ტურისტები თბილისში ჩამოსვლას უფრთხიან

თბილიში, 13-14 ივნისის სტიქიის შემდეგ, სასტუმროებს და ჰოსტელებს ვიზიტიორები შეუმცირდათ. წელიწადის ამ პერიოდში გაგანია ტურისტული სეზონია, მათ შორის, საქართველოს დედაქალაქშიც. თუმცა ახლა ვითარება შეიძლება საპირისპიროდ შეიცვალოს. დედაქალაქისთვის თავსდამტყდარი სტიქიური უბედურება არა მხოლოდ დედაქალაქის, არამედ ქვეყნის ტურისტულ მიმზიდველობას ამცირებს, რამაც, შესაძლოა, ვიზიტიორების ნაკადის შემცირება გამოიწვიოს.

სხვათა შორის, ამაზე უკვე ალაპარაკდნენ სასტუმროს მფლობელები. სოლოლაკში მდებარე სასტუმრო „დავით სულთნის“ მმართველი მარინა მაისურაძე ამბობს, რომ თბილისის სტიქიის შემდეგ 17 ივნისიდან სასტუმრო მხოლოდ 20%-ითაა დატვირთული.

„ბევრი ადამიანი გვირეკავს და გვეუბნება, ჩამოსვლა გვინდა, კითხულობენ დაიჭირეს თუ არა ყველა გაქცეული ცხოველიო. თბილისის სტიქიის შემდეგ ვიზარალეთ, გაგვიუქმდა 28 ჯავშანი და 50-მა სტუმარმა უარი თქვა ჩამოსვლაზე. იმედი გვაქვს, მდგომარეობა შეიცვლება. ჯავშნის გაუქმების შედეგად ფინანსურმა დანაკარგმა 3000 დოლარს მიაღწია. საერთოდ, თბილისის სტიქიამ ტურიზმის სექტორზე იმოქმედა“, — ამბობს მარინა მაისურაძე.

„თბილსის სტიქიის შემდეგ ჯავშნიანი არ გაუქმებულა თუმცა თბილისში ამ ამბის შემდეგ ძალიან ცოტა ხალხი ჩამოვიდა“, — აღნიშნავს ბელა კოხოძე, რომელიც თბილისში „ფოქს ჰოსტელს“ ფლობს.

100%-ით გაუუქმდა ჯავშანი ჰოსტელ „თბილისი ჰაუსს“. მმართველი ამბობს, რომ ჰოსტელი ამ დროისთვის ცარიელია: „ახალი შეკვეთები არ მიგვიღია. ვფიქრობთ, თვის ბოლომდე ასე გაგრძელდება“, — ამბობენ ჰოსტელში.

ტურისტული სააგენტოების ნაწილი კი ამტკიცებს, რომ 13 ივნისს თბილისში მომხდარ წყალდიდობას უცხოელი ტურისტების რაოდენობაზე გავლენა არ მოუხდენია. როგორც კომპანია „გალერეა თრეველის“ დამფუძნებელი თორნიკე გურული აღნიშნავს, ტურისტული სეზონი ჩვეულ რიტმში, შარშანდელის ანალოგიურად მიმდინარეობს.

„წლის დასაწყისში შედარებით ნაკლები ტურისტი გვყავდა, თებერვალი განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩევა. ბოლო პერიოდში კი მკვეთრად გაიზარდა ვიზიტიორების რაოდენობა ყატარიდან — ცალკეულ ავიაკომპანიებს დოჰა-თბილისის მიმართულებით კარგი შეთავაზება აქვთ. ასევე გაიზარდა ტურისტების რაოდენობა რუსეთიდან. ყაზახეთიდან კი დიდი მოთხოვნაა სამედიცინო ტურიზმზე — ბევრი ადამიანი თბილისს სამედიცინო გამოკვლევებისათვის სტუმრობს, თუმცა უკრაინიდან ვიზიტები შემცირდა“, — განაცხადა თორნიკე გურულმა.

კომპანია „ტრეველშოპის“ დამფუძნებელი ნიკა მანჯგალაძე თავის მხრივ ყურადღებას ამახვილებს ახლო აღმოსავლეთიდან კორპორაციული ტურიზმის გააქტიურებაზე. **„გაიზარდა მოთხოვნა კორპორატიულ ტურებზე საუდის არაბეთიდან და ომანიდან. მათთვის საქართველო საკმაოდ მოსახერხებელია, კლიმატი დამაკმაყოფილებელია, სავიზო რეჟიმი მარტივია, ფასებიც საკმაოდ მომხიბვლელია“,** — აღნიშნა მანჯგალაძემ „ბიპიენთან“ საუბრისას.

ტუროპერატორები ინფრასტრუქტურის გაუმართაობასა და პროდუქტების სიმცირეზეც საუბრობენ.

„დავით გარეჯამდე მისასვლელი გზა შერემონტებასა და აღდგენას მოითხოვს. ასევე სასურველია სტეფანწმინდაში გერგეთის სამებაზე ასასვლელი გზის მოწესრიგებაც. ქვეყანაში იშვიათად ეწყობა ეროვნული ნაციონალური კონცერტები, რაც ყველა ტურისტისთვის საინტერესოა. ქართულ ცეკვასა და სიმღერასთან შეხება ტურისტებს მხოლოდ ცალკეულ რესტორნებში აქვთ. რთულია ასეთ შემთხვევაში ხარისხზე საუბარი“, — აღნიშნავს „გალერეა თრეველის“ დამფუძნებელი თორნიკე გურული.

გეძა დანელია

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)

კრედიტის/სესხის №: IBRD 8402-GE
პროექტის №: P144048

დავალების სახელწოდება: საგზაო ქსელის შეფასება და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება გურიის რეგიონში რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის განსახორციელებლად

კონტრაქტი/RFP №: SLRP III/CS/QCBS-06
საიდენტიფიკაციო №: SLRP III PP, პუნქტი №26

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტისათვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **" საგზაო ქსელის შეფასება და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება გურიის რეგიონში რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის განსახორციელებლად ".**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება მსგავსი დავალებების განხორციელებაში, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიაში შეყვანის კრიტერიუმებია

- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- მსგავსი გამოცდილება როგორიცაა: ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების/შეფასების/ წინასწარი პროექტის მომზადება რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტებისთვის წარმატებით დასრულებული 2005 წელს ან მას შემდეგ.

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთაინდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციისა და ღირებულების შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა).

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2015 წლის 10 ივლისის, 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995-322-37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995-322-31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)
Credit/Loan No: IBRD 8402-GE
Project No. P148048

Assignment Title: "Assessment of Road Network and Preparation of Bidding Documents for Implementation of a Rehabilitation and Maintenance Performance-Based Contract in Guria Region"

Contract/RFP No: SLRPIII/CS/QCBS-06
Reference No. SLRPIII PP, Item No.26

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Assessment of Road Network and Preparation of Bidding Documents for Implementation of a Rehabilitation and Maintenance Performance-Based Contract in Guria Region"**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The Shortlisting Criteria are:

1. General experience in Road Infrastructure projects;
2. Similar experience, such as:
- Preparation of Feasibility/Assessment Studies/ Preliminary Design for OPRC Contracts Successfully Completed in or after 2005;

Estimated duration of assignment is 4 months.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association*) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under Quality and Cost-based Selection method for a lump-based contract set out in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 ("Consultant Guidelines").

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **July 10, 2015, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Division of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

SIC!

რომან გოცირიძის „კუპონური“ განცხადებები,

ანუ „ექსპერტის“ აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილი საუბარი

ფინანსთა **მინისტრი ნოდარ ხადური კორექტირებულ ბიუჯეტთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, ეკონომიკის საკითხებში ექსპერტ რომან გოცირიძის განცხადებას „აბსოლუტურად უპასუხისმგებლოს“ უწოდებს.**

როგორც ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა, გოცირიძე აკეთებს ისეთივე განცხადებას, როგორც მართავდა საქართველოს ეკონომიკას კუპონის დროს.

„ბატონ რომან გოცირიძის განცხადებები არის აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილი, საუბრობს ვითომ სავარაუდო შემოსავლებზე ლიცენზიებიდან, მას შეუძლია უბრალოდ გადაამოწმოს და ნახოს, რომ აღნიშნული ლიცენზიებიდან ფული უკვე შემოდის საქართველოს ბიუჯეტში. რა თქმა უნდა, დღევანდელ კურსზეა გათვლილი საქართველოს ბიუჯეტი. ერთი რამ მინდა, ასევე ვთქვა, ჩვენ ნამდვილად შევამცირეთ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი სამინისტროებსა და უწყებებში და იმის გამო რომ სტიქია მოხდა საქართველოში, ჩვენ გვიწევს თანხების მიმართვა სტიქიურ უბედურებებზე. ძალიან მაინტერესებს, გოცირიძე სხვანაირად თუ მოიქცეოდა, როგორ იქცეოდა ის როცა ვიცე-პრემიერი ან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყო, მეც ძალიან კარგად მახსოვს და საქართველოს მოსახლეობასაც, გაცვლით კურსზე მაშინ ენერვიულა, გინდა ერთ დროს, გინდა მეორე დროს“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ამასთან ერთად, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ეკონომიკური საკითხების ექსპერტებს თხოვნით მიმართავს, მხოლოდ ობიექტური შეფასებები გააკეთონ.

იგი რიგ საკითხთან მიმართებაში ექსპერტების შეფასებებს არ ეთანხმება, მათ შორის ლარის კურსთან მიმართებაშიც და განმარტავს, რომ ლარის კურსზე გავლენა არც საქართველოს კორექტირებულ ბიუჯეტს ექნება.

„ჩემი თხოვნაა ყველა ექსპერტისადმი, რომ გააკეთონ მხოლოდ ობიექტური შეფასებები, რათა საზოგადოებას მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია. თუ ვინმეს ინფორმაცია არა აქვს, ნუ გააკეთებენ შეფასებას, ჩვენ მივაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რას ემყარება მთავრობის გათვლები, რა შემოსავლები და რა ხარჯები ექნება სახელმწიფო ბიუჯეტს, როგორც განვითარდება მოვლენები. მე ერთი რამ მინდა ვთქვა, არც აქამდე, გასული 6-7 თვის განმავლობაში და არც ამის შემდეგ საქართველოს ბიუჯეტს ლარის კურსზე დაწოლა არ ექნება. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

რაც შეეხება ექსპერტების შეკითხვას, რომ მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის გადახედვა შესაძლოა, კიდევ გახდეს საჭირო, ფინანსთა მინისტრი არც აღნიშნულ შეფასებებს ეთანხმება და განმარტავს, რომ მათი პესიმისტური დამოკიდებულება უკვირს.

„მე არ ვიცი, რას ემყარება ექსპერტთა შეფასებები. ერთი რამ მინდა გითხრათ — ივნისში შეიმჩნევა ექსპორტის ზრდა. არ ვიცი, რატომ არიან ექსპერტები თუნდაც ტურიზმთან მიმართებაში პესიმისტურად განწყობილი — საქართველოში მალე ჩატარდება ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი და ძალიან საინტერესო თამაში ფეხბურთში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ცნობადობას გაზრდის. ასე რომ, ჩვენ ველოდებით ტურიზმის ზრდას, ველოდებით ასევე, რომ სოფლის მეურნეობაში იქნება მოსავალი და ა.შ. ძალიან ბევრი მიმართულებით მივდივართ, საქართველოს ენერგეტიკაში ამდენი საინვესტიციო პროექტი არასდროს ყოფილა, როგორც ახლა. ასევე არასდროს ასეთი ინტერესი არ ყოფილა საქართველოსადმი როგორც რეგიონალური ჰაბისადმი, ამიტომ მე მინდა ვთხოვო ადამიანებს, რომელთაც აქვთ ამბიცია, რომ თავიანთ თავს უწოდონ ექსპერტები, ობიექტურად მაინც შეაფასონ სიტუაცია და მოსახლეობას გამიზნულად ნუ შეიყვანენ შეცდომაში“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

თანადგომა

„თბილისში ცრემლები წვიმს!!!“

თბილისში **მდინარე ვერეს წყალდიდობის შედეგად დატრიალებულმა ტრაგედიამ და მოსახლეობისთვის მიყენებულმა ზარალმა მთელი ქვეყანა ერთიანად ააფორიაქა. ამ დღეებში საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად მრავალი აქცია ტარდება.**

„დავეხმაროთ სტიქიით დაზარალებულებს!!!“, „დღეს ჩვენთან წვიმს!!!“, „თბილისში ცრემლები წვიმს!!!“ — ამ პლაკატების ფონზე მეტროს სადგურ „ვაგზლის მოედნის“ საბურთალოს ხაზზე გადასასვლელ გვირაბში 23 ივნისს თბილისის კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულ ოჯახთა დასახმარებლად სახელდახელო კონცერტი გამართეს.

ახალგაზრდების თქმით, რომლებიც მგზავრთა ყურადღებას სხვადასხვა საკრავებზე დაკვრითა და სიმღერებით იპყრობენ, ასეთი კონცერტების გამართვას მომდევნო დღეებში დედაქალაქის სხვადასხვა ადგილებში აპირებენ.

ასეთი აქციები, სახელდახელო სამხატვრო თუ ხელნაკეთი ნივთების ნაუცბათევი გამოფენა-გაყიდვები, ამ დღეებში თბილისელთათვის ჩვეულებრივ ამბად იქცა. თუმცა ნამდვილად არაჩვეულებრივი, ხშირად კი ცრემლის მომგვრელიც კია მათდამი ხალხის, მათ შორის ხანდაზმულთა და სულ პატარა ჩვენს თანამოქალაქეთა დამოკიდებულება. ზოგი მათგანი საკვების შესაძენ ფულს ყოფს შუაზე და გაჭირვებულ თანამოძმეებს ეხმარება, ზოგიც პაპანაქება სიცხეში ნანატრ ნაყინზე ამბობს უარს...

თითოეულ მათგანს, თბილისს, სრულიად საქართველოს ააცილოს უფალმა მსგავსი ტრაგედიის გამეორება!

ოთარ ტურაგელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

თავს არავის გამოაყენებინებენ

ნანა დევდარიანი: არც იოცნებოთ!

„1972 წელს, ბავშვი ვიყავი, როცა წყნეთში დატრიალდა ტრაგედია... მაშინ იქ აუზი გახეთქა წყალმა და ჩამორეცხა ყველაფერი... მახსოვს ის ემოცია...“ — ამ ამბავს ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი 13 ივნისს თბილისში განვითარებულ სტიქიურ უბედურებაზე საუბრისას იხსენებს.

„რეპორტიორს“ ნანა დევდარიანი ესაუბრა:

— სტიქიურ უბედურებებს, რა თქმა უნდა, კლიმატური ცვლილებები იწვევს, მაგრამ აქ სხვა რამეა მნიშვნელოვანი. რას აკეთებს ხელისუფლება იმისთვის, რომ ასეთი სტიქიური უბედურების დროს ზარალი მინიმალური იყოს?

— როგორც არ უნდა იძახონ ნაციონალებმა, ამასაც ჩვენ გვაბრალებენო, ის უტვინო დაგეგმარება, რაც ხდებოდა ვერეს კალაპოტში, სხვას ვის შეიძლება დაბრალო?! ქულები რომ იწერეს და მჯიღები იცეს მკერდში, ასეთი არავის არაფერი გაუკეთებიაო, სიმართლე სხვა არის — ეს იყო სრულიად უტვინოდ განხორციელებული პროექტი და ამაში დიდი ბრალი მიუძღვის ყოფილ ხელისუფლებას, იმიტომ, რომ ის იყო დამკვეთი, დაეცვათ უსაფრთხოების წესები და მიეცათ არქიტექტორებისთვის ყველაფრის გათვლის საშუალება.

ისიც დიდი უპასუხისმგებლობა იყო, მიწის ნაკვეთები და მშენებლობის ნებართვა რომ გასცეს იმ ტერიტორიაზე, სადაც სტიქია მოხდა. მარტო ეს ერთი ნაღმი კი არ არის მათი დანატოვები, კიდევ უამრავია ასეთი. ხუშტურებით რომ მართავდნენ ქვეყანას და აზრს არავის ეკითხებოდნენ, ყველაფერი ამის ბრალია.

— ხელისუფლების ქმედებები რამდენად შეესაბამებოდა სტიქიური უბედურების დროს მომხდარ ამბებს?

— მთავრობას ნამდვილად ვერ ვეტყვი საყვედურს. ყველა გამოვიდა, მთელი მთავრობა იყო მობილიზებული, საქმეში ჩაება და არავინ წასულა მილანში საშოპინგოდ და არც დრო უტარებიათ.

ამ მთავრობის ნაკლი ის არის, რომ მართვის იმ მოდელს მიჰყვებიან, რაც საკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ დატოვა. პრემიერმა სასწრაფოდ უნდა მოძებნოს იმის საშუალება, რომ სპეციალისტები შეკრიბოს და ყველა რისკი შეაფასებინოს ამ თვალსაზრისით — გასარკვევია, სად რა შეიძლება განვითარდეს. გამოსაკვლევია, მარტო მეწყრის რამდენი კერაა საქართველოში და რა უნდა გაკეთდეს მათ შესაკავებლად. ამას უნდა ძალიან სერიოზული გამოკვლევა. უამრავი ნაღმია დატოვებული — ფული რომ აეთვისებინათ, ყველაფერს სასწრაფოდ აკეთებდნენ. გზები, ავტობანები და უამრავი ასეთი რამ როგორ არის შესრულებული, ამას შემოწმება სჭირდება.

— ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებისას, როგორც წესი, აქტიურობდნენ ნაციონალები. მათ ამ აქტივობას საზოგადოების დიდი ნაწილი უარყოფითად ხვდებოდა. თქვენთვის რამდენად დამაჯერებელი იყო მათი გამოსვლები და წუხილი?

— რა დამაჯერებლობაზეა საუბარი. ნაციონალები არიან ჩასაფრებულები და ასეთი უბედურების ჟამსაც იქცევიან, როგორც ჩასაფრებულები. შეხედეთ მათ ტელევიზიებს, რა ტექსტებით მიჰყავთ საინფორმაციო გადაცემები ან რა კომპეტენციის ხალხი გამოჰყავთ, ეს იგივეა, მე დავდგე და არქიტექტურული შეფასება მივცე რაღაც პროექტებს. დაილია ხალხი, ვისაც ჭკუა მოეკითხება?! მაგრამ პანიკას სხვანაირად ვერ ატეხენ. ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილში გადააქვთ — უნიათო მთავრობაა, გაჰკივიან. ეს „უნიათო“ მათი მოგონილია. უნიათო მარტო იმიტომაა ეს მთავრობა, ნაციონალებს რომ შესაფერისი ადგილი არ მიუჩინა! ნაციონალებისთვის ასეა — რაც უარესი, მით უკეთესი!

— სტიქიიდან რამდენიმე დღეში მოხალისეები სახლში გაუშვეს. როგორ ფიქრობთ, რატომ გადადგა ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი, ხომ არ გაჩნდა იმის საშიშროება, რომ ვინმე ამ გულანთებულ ახალგაზრდებს პოლიტიკურ სპეკულაციებში ჩაითრევდა? მით უფრო, რომ ამის პირველი ნიშანი მაშინ გამოჩნდა, როცა თბილისის ზოოპარკის დირექტორის მხარდასაჭერი აქცია გაიმართა მთავრობის კანცელარიასთან.

— თავის დროზე, ნოდარ დუმბაძემ თქვა — ეს მუტრუკი ჯინსიანი ბიჭები თავს დადებენ, რამე რომ იყოსო. მერე, თუ არ ვცდები, 9 აპრილის ტრაგედიის დროს თქვა ჯანსულ ჩარკვიანმა — ეს ჩვენი კევიღეჭია გოგო-ბიჭები გმირები ყოფილანო. ახლაც ასეა. არც ერთ თაობას არ მოაკლდა განსაცდელი — ზოგს ომი, ზოგს სტიქია და ზოგს სხვა უბედურება. ეს არის ის უმაგალითო სოლიდარობა, რაც ქართველებს აქვთ, მაგრამ ამპარტავანი ხასიათი ლხინის დროს არ აძლევს საშუალებას, რომ ეს აჩვენონ ბოლომდე. საქართველს მომავალს გადაშენება არ უწერია და არც იფიქრონ ნაციონალებმა!

რაც შეხება პოლიტიკურ სპეკულაციებში ამ ახალგაზრდების ჩათრევას — გამორიცხულია! იყო მცდელობა ნაციონალების მხრიდან, რომ აი, ჩვენ ჩვენი ხალხით მოვედითო, დაიწყეს „მარიაჟობა“ და სელფების კეთება, გაპიწკინებული ტანსაცმლით იდგნენ ტალახში. არ არის ეს ის ახალგაზრდობა, ვინმეს თავი რომ გამოაყენებინოს. რასაც ისინი აკეთებდნენ, არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან. ეს ახალგაზრდები საკუთარი ქალაქის და თანაქალაქელების დასახმარებლად გამოვიდნენ.

დიანა ლიპარტელიანი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

დსთ-ს რევოლუციური ინტერნაციონალი

საქართველოს ექს-პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ქალაქ ოდესის თავად დანიშვნა კვლავ ცხარე განხილვის საგნად რჩება, თუმცა ეს მოვლენა უკვე დიდი ხანია, აღარაა ახალი ამბავი. ქალაქის თავი უკვე კარგად მოერგო ახალ სარბიელს და, როგორც ჩანს, თავს ნებიერად გრძნობს.

უკან – მომავალში

წმინდა ამოცანის შესრულებისთვის იქმნება კიდეც ნარინჯისფერი ინტერნაციონალი, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის ერთგვარი ნაირსახეობაა, და რომელიც ქვეყნად გაჩნდა, როგორც საერთაშორისო ფედერაცია კომუნისტური პარტიისა, რომელსაც დაეკისრა რევოლუციური ინტერნაცინალური სოციალიზმის იდეის გამავრცელებლის როლი – რეფორმისტული მიმდინარეობის საპირისპიროდ. დრო იცვლება, მაგრამ წარსულის ტექნოლოგია არა და არა.

უნდა ვაღიაროთ, სააკაშვილის დანიშვნა ქალაქის ოდესის ხელმძღვანელის პოსტზე არც იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტია, რამდენადაც მნიშვნელოვანია ტენდენცია, რასაც იგი განასახიერებს.

საქართველოს ექს-პრეზიდენტის ექსტრავაგანტული ტრანსფერი, ასევე ბალტიის ქვეყნების ბევრი ყოფილი ჩინოვნიკის, სპეციალისტისა და ფორმალური მრჩევლისა ევროკავშირის ქვეყნებიდან მნიშვნელოვან პოზიციებზე უკრაინის პოლიტიკურ იერარქიაში – პრინციპულად ეს ახალი სიოა. ზოგიერთი მკვლევარი ამ მოვლენას აღმოსავლეთში დასავლური კოალიციის ახალ ნეოკოლონიალურ მიდგომას უწოდებს. იდეოლოგიური რალის წარმატებისათვის ყალიბდება მოწინავე მრავალენოვანი საზოგადოება, ნაკრები ბრიგადის რაღაც მსგავსი რამ, რომლებსაც ეკისრებათ „ინტერნაციონალური მოვალეობის“ პასუხისმგებლობა ლიბერალურ სარბიელზე. ასეთი დროა დღეს.

სააკაშვილის ხელები მთლიანად თავისუფალია, და მას ნება აქვს, განახორციელოს ყოველივე, რაც მას აუცილებლად და დროულად მოეჩვენება, მადლობა ღმერთს, ამისათვის მას აქვს უმაღლესი იერარქის პიოტრ პოროშენკოს უფლებამოსილებანი და მანაც ამ დროს გაუშვა პოლიტიკური ეშაფოტი, ნაყოფიერად განახორციელა პირველი მსხვერპლშეწირვებიც. სხვათა შორის, არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ პოსტზე, რომელიც ეკავა საკმაოდ ცნობილ ვალენტინ ნალივაიჩენკოს, მოვა ვინმე ამერიკის შეერთებული შტატებიდან ანდა დასავლეთი ევროპის ქვეყნებიდან სპეციალურ სამსახურებში მუშაობის სოლიდური გამოცდილებით.

ხდება პოროშენკოს, როგორც უკრაინული ნარინჯისფერი შტაბის უმაღლესი კომისრის უფლებამოსილებათა დივერსიფიცირება, პროცესების ანატომია, რომელიც დღითი დღე მეტ სიჩქარეს იძენს დიდ ექსპერიმენტულ მოედანზე. შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ყველაფერი მიდის უმაღლესი ხელისუფლების დირექტივების შესაბამისად. ამის გამორიცხვა შეუძლებელია. უზარმაზარი ექსპერიმენტი იმითია მიმზიდველი, რომ ღებულობს ყველაზე მოულოდნელ გადაწყვეტილებებს.

ვირუსების გამავრცელებლებს არ სძინავთ

არ ღირს, დამამცირებლად შევხედოთ სასამსახურო სიას, რომელიც მოიცვა გამოსაკვლევმა მოძრაობამ. მაგრამ ფერადი რევოლუციების ახალი ტალღა მაინც სათავეს იღებს მოვლენებიდან ბალკანეთის კუნძულებზე, სადაც დამუშავდა იუგოსლავიის დანაწილების გეგმა, აგრეთვე დაუმორჩილებელი სერბეთის უშუალო მკაცრი დასჯა სლობოდან მილოშევიჩის მეთაურობით.

ასე იშვა სერბეთში ახალგაზრდა დამარბეველთა ენერგიული თაობა სპეციალური იდეოლოგიური მომზადებით. მას შემდეგ, რაც სერბეთის მავრებმა გააკეთეს თავისი საქმე, წინა ხაზზე გამოჩნდა რაზმი შთამბეჭდავი რევოლუციური წარსულით, ერთგვარი საბრძოლო აქტივი თავისი პროპაგანდით. მიცხრა მგზნებარე მოვლენები რომლებმაც, ბოლოსდაბოლოს, შეარყიეს სერბეთის სახელმწიფოებრიობის საფუძველი. ხმაურიანი რევოლუციური წარსული ისტორიისკენ გადაბარგდა.

ასეთი კონტინგენტის ხარჯზე წარმოიშვა ისეთი სამწუხარო პროცესი, როგორიცაა მესამე სექტორის მონოპოლიზაცია და სამართალდაცვის სფერო.

ისინი დღეისათვის აყალიბებენ კიდეც მემარჯვენეფლანგელების კოლონას სოროსის ურიცხვი ფონდიდან, საერთაშორისო განვითარების ამერიკული სააგენტოდან, ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს, სხვა ანტიკრიზისულ ცენტრებს ადგილებზე. აი, მიხეილ სააკაშვილის დონის პერსონები კი – ესენი უკვე არიან ექსკლუზიური დანიშნულებების აღმსრულებლები, რომლეთათვისაც მცნება სამშობლო არცთუ დიდად მნიშვნელოვანი მატერიაა.

უმაღური ექსპორტი

უმაღლესმა სარდლობამ რკინის აქცენტი სავახტო მეთოდზე გააკეთა, მოწინავე ძალებზე, რომლებიც თავიანთი მონაცემებით გვიბიძგებენ დელიკატური მისიების შესრულებისაკენ. **უკრაინის დიდ თამაშში არჩევანი სააკაშვილზე შემთხვევითი როდი იყო. მას შეუძლია თამაში, განაწყოს თავისკენ ადამიანები და, რაც მთავარია, სიტყვაუხვია, შეუძლია წარმოდგენა გაულამაზოს, ვისაც გინდა. ფარული მანევრები – ეს არის არა მხოლოდ ძალა, არამედ საშიში იარაღი, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია მივაყუჩოთ არა მხოლოდ სხვათა ყურადღება, არამედ შემეცნებაც.**

ამ კულტურის კეთილი ნაყოფი შეიძლება მივიღოთ იმ შემთხვევაში, თუ მასზე ახდენენ ზეგავლენას, ზემოქმედებას ახდენენ მცოდნე ადამიანები ბუნებრივ პირობებში. ხელოვნურად გამოყვანილი ჯიშები – ეს ხომ მხოლოდ გადმოგდებული მასალაა და ადვილად ირღვევა. და მიხეილ სააკაშვილსაც არ აწყენდა, რომ ახსოვდეს ეს.

აზერბაიჯანი

◎ ალიან-ჩალიანი

ხელშეკრულება ძალაში შევიდა

რუსეთის ფედერაციის საბჭომ მოსკოვსა და ე.წ სამხრეთ ოსეთს შორის გაფორმებული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ „ხელშეკრულების“ რატიფიცირება მოახდინა. ამის შესახებ რუსული მედია იტყობინება. როგროც რუსული მედია წერს, დოკუმენტის რატიფიცირება რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ რამდენიმე დღის წინ მოახდინა, ცხინვალის ე.წ პარლამენტმა კი რამდენიმე თვის წინ, რაც ნიშნავს, რომ იგი ძალაში შევიდა.

დოკუმენტი ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას საგარეო პოლიტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე სოციალურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში. ამას გარდა, ე.წ შეთანხმება საერთო თავდაცვითი სივრცის შექმნას და საბაჟო სამსახურების ინტეგრაციას გულისხმობს. ამას გარდა, „ხელშეკრულების“ მიხედვით, რუსეთი ვალდებულია, მესამე ქვეყნის მიერ ე.წ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმა მასზე თავდასხმად მიიჩნიოს და მსგავს შემთხვევაში შესაბამისი ზომები მიიღოს.

„თანამშრომლობის შესახებ“ ე.წ ხელშეკრულებას სამხრეთი ოსეთისა და რუსეთის ფედერაციის ლიდერებმა მოსკოვში 18 მარტს მოაწერეს ხელი. მსგავსი შინაარსის შეთანხმება მოსკოვმა გასული წლის ნოემბერში აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობასთანაც გააფორმა.

უვიზოდ – არგენტინაში

არგენტინაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის ფარგლებში, არგენტინასა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა და არგენტინის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ექტორ ტიმერმანმა. დოკუმენტი ძალაში ორივე მხარის მიერ შესაბამისი შიდასახელწიფოებრივი პროცედურების დასრულებიდან ერთ თვეში შევა.

არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ასევე მიმოიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები. აღინიშნა, რომ ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლა ხელს შეუწყობს ტურისტული, კულტურული და ეკონომიკური კავშირების გააქტიურებას და განაპირობებს ორივე ქვეყნის ცნობადობის გაზრდას შესაბამის რეგიონებში.

ინტერპრესი

დედამიწის ზურგზე

ნიუ-იორკში გაეროს შტაბ-ბინას ბაღლინჯოებმა შეუტიეს

34-სართულიანი მაღლივი შენობის ევაკუაცია მოხდა ორგანიზაციის შენობის დამუშავების წინ თანამშრომელთა სისხლისმწოველებისაგან გათავისუფლების გამო. ხუთი წლის წინათ გაეროს შტაბ-ბინაში უკვე დაიწყეს ბაღლინჯოების მოწამვლა, რომლებიც მეგაპოლისებისათვის პრაქტიკულად გადაუჭრელ პრობლემად იქცა. 2011 წელს გაუშვეს საიტი ინფორმაციით, რომელიც მოუწოდებდა, დახმარებოდნენ ნიუ-იორკის მცხოვრებლებს ამ მავნე მწერებისაგან გათავისუფლებაში.

დანიელი პენსიონერები სხვებზე უკეთესად ცხოვრობენ, აჩვენა გამოკვლევამ

მეცნიერებმა გააანალიზეს საპენსიო სისტემა 25 ქვეყანაში და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველაზე უკეთ იგი ფუნქციონირებს დანიაში. მეორე და მესამე ადგილზე არიან ავსტრალია და ნიდერლანდი. შეფასების ძირითადი კრიტერიუმები იყო საკმარისობა, სიმყარე და სისტემის სამართლიანობა. რუსეთი სისტემაში არ განიხილებოდა.

„ისლამური სახელმწიფოს“ მოთარეშეებმა საკუთარი ოქროს მონეტების მოჭრა დაიწყეს

მონეტების ფოტოგრაფიები მოთავსებულია სოციალურ ქსელებში. მონეტაზე მოსჩანან წარწერები „ისლამური სახელმწიფოს“ ლოზუნგებით, გამოსახულია 7 თავთავი და მსოფლიოს რუკა. ასევე იტყობინებიან, რომ 1 ასეთი მონეტის ღირებულება გაუთანაბრდება ოქროს დოლარის ფასს, რაც დაახლოებით ამერიკის შეერთებული შტატების 139 დოლარს შეადგენს.

ერევანში აქციის მონაწილეებმა ბარიკადები აღმართეს, წამოაყენეს მოთხოვნები

მანიფასტანტებმა ერევანში სომხეთის პრეზიდენტისაგან მოითხოვეს ელექტროენერგიაზე ტარიფების გაზრდის გაუქმება. მათთან შეხვედრა ან არ უნდათ, ანდა ვერ შეძლეს, გამოენახათ წარმომადგენლები.

განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

სწავლება ამ ქვეყანაში - მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებულია. მაგრამ, ამავე დროს, წერა-კითხვის ცოდნის დონე აშშ-ში 99 პროცენტია. ამერიკელები ამჯობინებენ, ცოდნაში ფული გადაიხადონ, რითაც მომავალ ხელფასს იზრდიან

სკოლების ოდენობა აშშ-ში:

138 180

მათ შორის, **71,5 პროცენტი** – ესაა სახელმწიფო სკოლები, სადაც სწავლება უფასოა, ერთ მასწავლებელზე 16 მოსწავლე მოდის.

24,15 პროცენტი – კერძო სკოლებია (მათ შორის 80 პროცენტი – რელიგიური სასწავლებელია).

სწავლების ღირებულება წელიწადში **6-დან 60 ათას დოლარამდეა,** რაც საშუალოდ 17,5 ათასი დოლარს შეადგენს. ერთ მასწავლებელზე 11 მოსწავლე მოდის.

4,35 პროცენტი კი ჩარტერული სკოლებია. მათ სახელმწიფო აფინანსებს, თუმცა შესაძლებელია, მოიზიდონ კერძო ინვესტორებიც. სწავლება უფასოა. ამ ტიპის სკოლის მოსწავლედ გასახდომად საჭიროა ლატარიის მოგება, რომელიც წელიწადში ერთხელ ყველასათვის უფასოდ ტარდება, ანდა გამოცდების ჩაბარებაა საჭირო. ერთ მასწავლებელზე 13 მოსწავლე მოდის.

12 000

დოლარი -

– ამ თანხას აშშ-ის მთავრობა თითოეულ „უფასო“ მოსწავლეზე ყოველწლიურად საშუალოდ ხარჯავს (ნიუ-იორკში – 20 ათას დოლარს, იუტაში – 7 ათას დოლარს). ამერიკელ ბავშვთა 3 პროცენტი საოჯახო განათლებას იღებს. ამ ბავშვების მშობელთა 66,3 პროცენტს ბაკალავრისა და უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხი აქვს. ასეთი ბავშვების 38,4 პროცენტი ოჯახში რელიგიური მოსაზრებებით სწავლობს, მათგან 8,9 პროცენტი ინვალიდია.

კოლეჯი, უნივერსიტეტი

დოქტორი (DOCTORATE DEGEREE ან PHD)

(სწავლების ვადა 5-7 წელი)

აშშ-ში უმაღლესი განათლების ზედა საფეხურის დოქტორის ხარისხს სპეციალურ დისციპლინებში გამოცდების ჩაბარებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ ანიჭებენ, რომელიც საკუთარ სამეცნიერო კვლევებზეა დაფუძნებული.

მაგისტრი (MASTRER'S DEGREE)

(სწავლების ვადა 1-3 წელი)

საგნის უფრო სიღრმისეული შესწავლა, ჩვენი უწინდელი ასპირანტურის ანალოგი. მაგისტრატურაში წერენ სამეცნიერო შრომებს, ატარებენ კვლევებს. მაგისტრის წოდების მისაღებად საჭიროა ასევე 30 კრედიტის მიღება.

ბაკალავრი (BACHELOR'S DEGREE)

(სწავლების ვადა 4-5 წელი)

პირველი ორი წლის მანძილზე ისწავლება ზოგადი დისციპლინები, სიღრმისეული სპეციალიზაციის გარეშე. კრედიტების საჭირო ოდენობის მოსაგროვებლად, სტუდენტი გარკვეულ კურსებს ირჩევს. კრედიტები ირიცხება მეცადინეობებზე დასწრებაში, რეფერატებში ან საკურსო სამუშაოებში, ტესტების ჩაბარებაში. ყოველი სემესტრის შემდეგ სტუდენტები გამოცდებსა და ჩათვლებს აბარებენ. ბაკალავრის ხარისხის მისაღებად აუცილებელია 120 კრედიტის (Credit hours) დაგროვება. სტატისტიკით, სახელმწიფო სასწავლებლების სტუდენტთა 32 და კერძოების 52 პროცენტს ამის მისაღწევად ოთხი წელი ჰყოფნით.

საშუალო სპეციალური განათლება

სკოლის შემდგომი სწავლების პირველი საფეხურია ორწლიანი საზოგადოებრივი კოლეჯი (Community College) ან პროფესიულ-ტექნიკური სკოლა (Technical School), სადაც სტუდენტი პროფესიას ეუფლება, შესაბამის ხარისხს (Associate) იღებს. თუკი ასეთი სტუდენტი უნივერსიტეტში განაგრძობს სწავლას, მას ორწლიანი კოლეჯის კურსები ჩაეთვლება. ასეთი განათლების მიღება წელიწადში **3 000 დოლარი** და მეტი ღირს.

9-12 კლასი უფროსი სკოლა (HIGH SCHOOL) 13-19 წლამდე

უფროსი სკოლები არის აკადემიური, პროფესიული და მრავალპროფილური, რომელთა დამთავრებისას სტუდენტები აბარებენ SAT-ს (შეფასებით აკადემიურ ტესტს) და High School Diploma-ს იღებენ. SAT-ის შედეგები ავტომატურად იგზავნება შტატის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც შესასვლელი გამოცდები არ ბარდება. ნიჭიერმა სტუდენტებმა შეიძლება სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მიწვევა მიიღონ გარანტირებული სტიპენდიით. მათ, ვინც სკოლას მე-12 კლასამდე ტოვებს, შეუძლიათ სპეციალური ტესტის ჩაბარება და GED-ს (Gereral Educational Development) მიღება. 15 შტატში 16 წლის ასაკში შეიძლება სკოლის საკუთარი ნებით, მაგალითად, შვილის გაჩენის შემთხვევაში დატოვება. მუშაობა აშშ-ში ოფიციალურად 14 წლის ასაკიდანაა ნებადართული. აშშ-ის სამხედრო მოსამსახურედ გახდომა, სკოლის დამთავრების შესახებ დიპლომის უქონლობის შემთხვევაში, შეუძლებელია.

6-8 კლასი საშუალო სკოლა (MIDLE SCHOOL) 11-14 წლამდე

სავალდებულო საგნებია: ინგლისური ენა, მათემატიკა, სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბლოკები, ფიზკულტურა. დამატებითი საგნები კი – ერთი ან ორი – საკუთარი არჩევანით. სკოლის დამთავრების შემდეგ ბარდება ტესტები. თუკი ინტელექტუალური განვითარების ტესტში მოსწავლემ 100-დან 70 ქულაზე ნაკლები მიიღო, მას High School-ში პროფესიული სწავლების რეკომენდაციას აძლევენ.

0-5 კლასი დაწყებითი სკოლა (ELEMENTARY SCHOOL) 5-12 წლამდე

ნულოვანი კლასის (kindergarten) პროგრამა preschool-ის პროგრამისგან ცოტა რამით თუ განსხვავდება. პირველ კლასში კითხვა და თხზულების წერა, მესამე კლასიდან კი მათემატიკასა და ინგლისურ ენაში ტესტის ჩაბარება ყველას მოეთხოვება. მეხუთე კლასში ამას სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ტესტები ემატება.

სკოლამდელი განათლება (PRESCHOOL) 3-4 წლამდე

ამ საფეხურს ბავშვების 53 პროცენტი გადის. პროგრამა ითვალისწინებს ალფავიტისა და ციფრების შესწავლას. იგი სახელმწიფო სკოლების ნაწილში (უფასოდ) და საბავშვო ბაღებშია (ფასიანად) დანერგილი. მაგალითად, ნიუ-იორკში ჩვეულებრივი საბავშვო ბაღი ოთხი წლის ბავშვისთვის კვირაში 375 დოლარი ღირს, Preschool-ის პროგრამით კი – 500 დოლარი.

ხელფასები აშშ-ში

44 800 დოლარი – ესაა ქვეყანაში საშუალო წლიური ხელფასი

57 000 დოლარს ხელფასს საშუალოდ წელიწადში იღებენ მასწავლებლები, ოღონდ მისი ოდენობა განსხვავებულია შტატებისა და სკოლის პრესტიჟულობისდა მიხედვით. **39 000 დოლარს** წელიწადში საშუალოდ (ყველაზე ცოტას) სამხრეთ დაკოტელი მასწავლებლები იღებენ, **90 000 დოლარი** ნიუ-იორკში, ნიუ-ჯერსისა და კალიფორნიაში მასწავლებლების საშუალო წლიური ხელფასია (რაც ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია).

სადღეისოდ ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა და მწერლებმა მსოფლიოში ყველაზე მეტი – 362 ნობელის პრემია მიიღეს

მათთან პაექრობა, მხოლოდ ყველას ერთად აღებულს, ევროპის ქვეყნებს შეუძლია. ნობელის პრემიის ლაურეატებს შორის 102 კაცი აშშ-ს ფარგლებს გარეთ დაიბადა. მაგრამ, მათგან ნახევარი აშშ-ში ადრეულ ასაკშივე ჩავიდა, სადაც სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება მიიღო. მეორე ნახევარმა კი იქ ან მაგისტრატურა და დოქტორანტურა გაიარა, ანდა კვლევით მოღვაწეობას ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში ეწეოდა.

ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა 60 პროცენტი სწავლის კრედიტს იღებს. სესხების მიხედვით დავალიანების მთლიანი ოდენობა ტრილიონ დოლარს აჭარბებს.

40 000-ზე მეტი ამერიკელი ყოველწლიურად დოქტორის სამეცნიერო ხარიხს იღებს, რაც მოსწავლეთა მთელი ოდენობის 9 პროცენტია.

აშშ-ში დოქტორის ყოველწლიური საშუალო ხელფასი **100 000 დოლარია.**

60 000 დოლარია მაგისტრის წოდების მქონე მეცნიერის ხელფასი.

47 000 დოლარი ბაკალავრის შემოსავალია.

30 000 დოლარს იღებს Associate ხარისხის მქონე მეცნიერი.

23 000 დოლარი აქვს მათ, ვინც სკოლა ეს-ესაა დაამთავრა.

18 000 დოლარი – მათ, ვინც GED მიიღო,

10 000 დოლარი კი მათ, ვინ GED ვერ მიიღო.

სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთი წელი სწავლა საშუალოდ **28 000 დოლარი** ღირს, კერძოში – **41 000 დოლარი.** ყველაზე ძვირად ღირებულია სამედიცინო განათლება **(40 000-47 000 დოლარი).**

ლათინოამერიკული წარმოშობის ქალიშვილების **41 პროცენტი** სკოლას დროზე ადრე თავს ანებებს ფეხმძიმობის მიზეზით.

დანაშაულთა **75 პროცენტს** ისინი სჩადიან, ვინც სკოლას დროზე ადრე დაანება თავი და GED-ტესტი არ ჩააბარა.

აფროამერიკელთა შორის **60 პროცენტი** სკოლას დროზე ადრე ანებებს თავს, რადგან ციხეში ხვდება. ამერიკის საპყრობილეებში, ონლაინ-უნივერსიტეტების წყალობით, ფაქტობრივად, ნებისმიერი განათლების მიღება შეიძლება.

◎ მართლაც...

კობიაშვილი: ფედერაციის ხელმძღვანელობამ არჩევნები სასწრაფოდ უნდა დანიშნოს

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას, სფფ-ს დღევანდელ ხელმძღვანელობას საჯაროდ აკრიტიკებს. „კობი“ მურთაზ დაუშვილისა და ჯაბა კანკავას ირგვლივ მომხდარ ფაქტებს გამოეხმაურა. მისი თქმით, ფედერაციის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას არანაირი მორალური უფლება არ აქვს, დარჩეს ქართული ფეხბურთის სათავეში და მათ ვადამდელი არჩევნების დანიშვნისკენ მოუწოდა.

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კიდევ ერთხელ გვაჩვენა უპასუხისმგებლობა და არაპროფესიონალიზმი, როცა ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს დაუდევრობის გამო სრულიად უსაფუძვლოდ გამოატოვებინა შესარჩევი მატჩები. თუნდაც მხოლოდ ამის გამო არ აქვთ ფედერაციის ხელმძღვანელებს არანაირი მორალური უფლება, დარჩნენ ქართული ფეხბურთის სათავეში. ისინი ვალდებულნი არიან, გულშემატკივარს ბოდიში მოუხადონ და სასწრაფოდ დანიშნონ არჩევნები, რათა ცივილური ფორმით ჩამოშორდნენ იმ საქმეს, რომლის კეთების არც კომპეტენცია აქვთ და არც პროფესიონალიზმი“, — წერს ლევან კობიაშვილი თავისი ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

კობა კობახიძე

◎ მეტოქე

მაკედონიას ჩეკოვსკიც გამოაკლდა



მაკედონიის საკალათბურთო ნაკრები, რომელიც 2015 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ერთ-ერთი მეტოქე იქნება, ნელ-ნელა მოთამაშეებისგან იცლება. შეგახსენებთ, რომ გაფართოებული შემადგენლობიდან პირველი პერო ანტიჩი ამოვარდა, ამჯერად კი, ნაკრებში თამაშზე უარი კიდევ ერთმა გამოცდილმა კალათბურთელმა გეორგი ჩეკოვსკიმ თქვა.

„რაბოტნიჩკის“ ვეტერანი ფორვარდი დეკემბერში 36 წლის ხდება და ზურგს უკან არაერთი დრამატული მატჩი აქვს. მან მაკედონიის სხვადასხვა დონის ნაკრებებს 17 წელი დაუთმო, საიდანაც 15 წელი ეროვნულ გუნდში გაატარა (გასულ ევრობასკეტზე ის საშუალოდ 10 წუთს თამაშობდა და 2.5 ქულას და 3 მოხსნას აგროვებდა). სწორედ ამიტომ იყო, მაკედონიელთა თავკაცმა ალექსანდარ ჯიკიჩმა გეორგის ევრობასკეტ-2015-ისთვის რომ უხმო, თუმცა მისგან უარი მიიღო.

აღნიშნულის ოფიციალური მიზეზი არ გამოცხადებულა, მაკედონიის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პეტერ ნაუმოსკიმ კი შემდეგი აღნიშნა:

„ვწუხვართ, რომ ჩეკოვსკი ნაკრებში ვერ ითამაშებს. ევროპის ჩემპიონატისთვის უძლიერესი შემადგენლობის შეკრება გვსურდა, თუმცა, ეს არ გამოდის. ნაკრების კაპიტანი ვიყავი და გეორგის შესაძლებლობები კარგად ვიცი. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა, მინდა, მას განეული სამსახურისთვის მადლობა გადავუხადო“.

შეგახსენებთ, რომ მაკედონიის და საქართველოს ნაკრებებს ფინალურ ეტაპზე თამაში C ჯგუფში მოუწევთ, სადაც მეტოქეებად მასპინძელი ხორვატეთი, საბერძნეთი, სლოვენია და ჰოლანდია ეყოლებათ. ქართულ-მაკედონიური დაპირისპირება ზაგრებში 9 სექტემბერს შედგება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მოვლენის წინ

12 საინტერესო ფაქტი უიმბლდონის შესახებ

უიმბლდონი დიდი სლემის ოთხი ტურნირიდან ერთ-ერთი გამორჩეულია, რომელიც ბალახის საფარზე ყოველწლიურად ტარდება. იგი უძველესი საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირია და სათავეს 1877 წლიდან იღებს.

რამდენიმე დღეა, რაც უიმბლდონის საკვალიფიკაციო ეტაპი მიმდინარეობს, თვით ტურნირი კი სტარტს 29 ივნისს აიღებს და 12 ივლისს დასრულდება.

ტურნირის მოახლოებასთან დაკავშირებით გთავაზობთ უიმბლდონის შესახებ 12 საინტერესო ფაქტს:

1. უიმბლდონი მხოლოდ ორჯერ შეწყდა საომარი მოქმედებების გამო (პირველი მსოფლიო ომის დროს 1915-1918 წლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს 1940-1945 წლებში).

2. მეორე მსოფლიო ომის დროს ცენტრალურ კორტს 5 ბომბი დაეცა, რის შედეგადაც 1200 სკამი განადგურდა. კორტის სრულად აღდგენას 9 წელი დასჭირდა.

3. 1995 წელს ტიმ ჰენმანი გახდა პირველი ჩოგბურთელი, რომელიც ტურნირიდან მოხსნეს. ჰენმანმა შეხვედრის დროს გაბრაზებულმა ბურთი ისროლა, რომელიც ბურთის მომტან გოგოს მოხვდა. მოგვიანებით ტიმმა ბოდიშის მოხდის ნიშნად გოგონას ყვავილები მიართვა.

4. ყოველ წელს უიმბლდონზე 250 „ბოლბოი“ და „ბოლგერლია“ დასაქმებული და ისინი ორი კვირის განმავლობაში 150 გირვანქა სტერლინგს გამოიმუშავებენ.

5. ბოლოს ტურნირზე ხის ჩოგანი 1987 წელს გამოიყენეს.

6. ტურნირის განმავლობაში დაახლოებით 54 250 ბურთს იყენებენ.

7. ყველა მოთამაშეს აუცილებლად თეთრი ტანსაცმელი უნდა ეცვას. მთავარი მსაჯი წყვეტს, მოთამაშეები დრეს-კოდის შესაბამისად არიან თუ არა ჩაცმულები. 1988 წლიდან 1990 წლამდე ანდრე აგასიმ დრეს-კოდის გამო უარი თქვა ტურნირში მონაწილეობის მიღებაზე.

8. 2007 წელს მამაკაცთა და ქალთა საპრიზო ფონდი გათანაბრდა.

9. უიმბლდონის ცენტრალური კორტი 15 000 მაყურებელს იტევს.

10. 1986 წლიდან ტურნირზე ყვითელი ბურთებით თამაშობენ. მანამდე თეთრ ბურთებს იყენებდნენ და მსაჯებს მათი დანახვა უჭირდათ.

11. ყოველწლიურად მაყურებლები ტურნირის განმავლობაში 28 000 კილოგრამ მარწყვსა და 7000 ლიტრ ნაღებს მიირთმევენ.

12. ტურნირი კაცთა ერთეულებში ყველაზე მეტჯერ როჯერ ფედერერს და პიტ სამპრასს 7-7-ჯერ აქვთ მოგებული, ხოლო ქალებში 9-ჯერ — მარტინა ნავრატილოვას.

მანუჩარ გიორგაძე

◎ თაობა

სასკოლო ლიგა ფრენბურთმაც დაამშვენა

ფრენბურთელთა სასკოლო ლიგამ სტარტი შარშან დეკემბერში აიღო და ამ დღეებში ოლიმპიური ჩემპიონის ვაჟა კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური ცენტრის დარბაზში გამართული ფინალური შეხვედრებით დასრულდა. მომავალი თაობის სპორტულ შესაძლებლობათა ამ დათვალიერებაში ერთმანეთს დედაქალაქის 80 საჯარო და კერძო სკოლის უფროსი (1997-1999 წლებში დაბადებულნი) და უმცროსი (2000-2001 წლებში დაბადებულნი) ასაკის 800-მდე მოსწავლე დაუპირისპირდა.

გაუწყებთ გადამწყვეტი ბრძოლების შედეგებსა და ჩემპიონთა შემადგენლობებს.

გოგონები

უფროსი ასაკი. 103-ე საჯარო სკოლა — 45-ე საჯარო სკოლა 2:0 (გამარჯვებულთა სპორტის პედაგოგი ეკა ყარყარაშვილი, გუნდის წევრები ლ. ხიჯაკაძე, ნ. გელაშვილი, ნ. შელია, ნ. ყარყარაშვილი, ა. ნიკოლაშვილი, ს. ვეფხვაძე).

უმცროსი ასაკი. 74-ე საჯარო სკოლა — 45-ე საჯარო სკოლა 2:0 (გამარჯვებულთა სპორტის პედაგოგი თემურ ბიბილაშვილი, გუნდის წევრები. ა. ტატიშვილი, ნ. წიკლაური, გ. დიდებაშვილი, ა. ეფიმოვა, ტ. ალფეროვა, მ. ლაცაბიძე).

ვაჟები

უფროსი ასაკი. 155-ე საჯარო სკოლა — 45-ე საჯარო სკოლა 3:2 (გამარჯვებულთა სპორტის პედაგოგი თამთა დავითულიანი, გუნდის წევრები ს. ბალხამიშვილი, დ. ხეირაბადი, თ. დობორჯგინიძე, ნ. დობორჯგინიძე, ნ. აბშინაშვილი, ე. აბრამოვი, ო. სიჩოვი, ა. კოვალიოვი, ნ. მამეიშვილი, გ. ჯაში).

უმცროსი ასაკი. 89-ე საჯარო სკოლა — 30-ე საჯარო სკოლა 2:0 (გამარჯვებულთა სპორტის პედაგოგი მაკა ქურციკაშვილი, გუნდის წევრები ნ. ენუქიძე, ტ. არჩვაძე, გ. ღავთაძე, გ. კვინიკაძე, გ. ხიზანეიშვილი, გ. შონია, ლ. ოქროპირიძე, რ. ნატროშვილი, გ. არჩვაძე).

ფინალურ ეტაპს მსაჯობდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე ბოისა, ხოლო ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ ნინი წიკლაური, ანა ნიკოლაშვილი, გიორგი ხიზანეიშვილი და დანიელ ხეირაბადი.

დავძენთ, რომ გამორჩეულ გუნდებსა და მონაწილეებს თასები და სიგელები გადასცეს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გია ბეგიაშვილმა, ვიცე-პრეზიდენტმა დავით ხავთასმა და გენერალურმა მდივანმა მევლუდ ლაშაურმა, ისინი კი, თავის მხრივ, ლიგის ორგანიზებულად ჩატარებისათვის მადლობას უხდიან საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ირაკლი ჩაჩუას, ოლიმპიური ჩემპიონის ვაჟა კაჭარავას სახელობის ოლიმპიური ცენტრის დირექტორს სულხან ახვდელიანს, თბილისის ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ეკა ყარყარაშვილსა და ვიცე-პრეზიდენტს თამთა დავითულიანს.

გიორგი ზოთაძე
მევლუდ ლაშაურის ფოტო.

◎ ინტერნეტიდან

მაბრის ცოლის უუჰ აღგილი!

„იუვენტუსის“ შემტევის ალესანდრო მატრის მეუღლე, მოდელი ფედერიკა ნაგრი უსურიული ვეფხვივით მიეპარა იტალიელი მამაკაცების გულებს, შეჰკრა კამარა და ახლაც ასე, კამარაშეკრული აოცებს და აკვირვებს ისედაც უამრავი ლამაზმანის მხილველ სრულიად აპენინის მკვიდრთ.

ფედერიკა ამ ცოტა ხნის წინათ, სამშობლოში არც მეტი, არც ნაკლები, ყველაზე ლამაზი უკანალის მქონე ქალად დაასახელეს. ეს აღიარება შეიძლება შორიდან ცოტა უცნაურად და არცთუ გულმისავლად ჟღერს, მაგრამ ფედერიკა ნაგრისთვის დიდი სიხარულისა და სიამაყის მომტანი ნამდვილად იყო.

ალესანდრო მატრის ცოლის უკანალისათვის ქებათა-ქება და ხოტბა ღიად არ შეუსხამს, მაგრამ აბა რა გული მოუთმენდა, სახლში მოცალეობის ჟამს კონკურსში პირველობამიღებულ ფედერიკას უკანალს ერთი დაშხოშიანად რომ არ დაკვირვებოდა. მოგეხსენებათ, ყველა დიდი აღმოჩენა სწორედ დაკვირვებით დაიწყო.

როსტომ რაჭველიშვილი

რამდენი იყო სტალინის ხელფასი?

თითქოს მასზე უკვე ყველაფერი ნათქვამი და დაწერილია და ახალი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია, თუმცა, არსებობს ყოფითი წვრილმანები, რაც ყურადღების მიღმა რჩება. მაგალითად, ყველამ იცის, რომ იოსებ ბესარიონის ძე „ჰერცეგოვინა ფლორის“ თამბაქოს ანიჭებდა უპირატესობას. როგორც ჩერჩილის სიგარის გარეშე წარმოდგენაა ძნელი, ისე სტალინის – უჩიბუხოდ.

მე კი დამაინტერესა ერთმა საკითხმა: რამდენი იყო სტალინის ხელფასი? პარტიისა და ხალხის სასიკეთოდ უანგაროდ ხომ არ ხარჯავდა უზარმაზარ ენერგიას? როგორც გაირკვა, 1952 წელს სტალინის ყოველთვიური ხელფასი 10 000 მანეთი იყო, საიდანაც ბელადი პატიოსნად იხდიდა პარტიულ გადასახადს. რაც მთავარია, გარდა ამ 10 000 მანეთისა, მას სხვა შემოსავალი არ ჰქონდა. არც ნავთობკომპანიის აქციებს ფლობდა და არც უცხოურ ბანკში ჰქონდა ანგარიში გახსნილი. აი, რატომ უყვარდა ხალხს სტალინი და მის უბრალოებაზე ლეგენდებს თხზავდა.

სხვათა შორის, 1952 წელს, საბჭოთა კავშირში საშუალო ხელფასი დაახლოებით 1500 მანეთი გახლდათ.

ავთო გელაძე

◎ ნუ დაკარგავ ძველსა გზასა...

განგაშის სისტემა, რომელსაც მხოლოდ კომუნისტები იყენებდნენ

ზუსტად 2 კვირის წინათ, უხვი ნალექის მოსვლის შედეგად ადიდებულმა მდინარე ვერემ ბიზნესმენ თამაზ ელიზბარაშვილის ცხოველთა თავშესაფარი დატბორა. შედეგად, რამდენიმე ათეული ძაღლი დაიხრჩო. სპეციალისტების განმარტებით, ეს საკმარისი მიზეზი უნდა გამხდარიყო ხელისუფლებისთვის, რომ უხვი ნალექების პერიოდში მაინც, შესაბამისი პრევენციული ზომებისთვის მიემართა. მათ შორის, გეოლოგიური პროცესების შესწავლა დაეწყოთ, ან მოსახლეობა გაეფრთხილებინათ, რომ უხვი ნალექის შემთხვევაში მდინარე ვერე შესაძლებელი იყო, ისევ ადიდებულიყო. ან თუნდაც რეკომენდაცია მიეცათ ამ ხეობის მაცხოვრებლებისთვის, განმეორებითი წვიმის შემთხვევაში როგორ მოქცეულიყვნენ.

სამწუხაროდ, მოსახლეობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არავის გაუფრთხილებია.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ჩნდება ლოგიკური შეკითხვა – რატომ არ გაითვალისწინა მთავრობამ ორი კვირის წინათ მომხდარი ფაქტი და არ გაატარა პრევენციული ზომები? სინოპტიკოსები ივნისში უხვი ნალექის მოსვლას ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე პროგნოზირებდნენ. შესაბამისად, ამინდის გაუარესების შესახებ ინფორმაცია წინასწარ არსებობდა. მომხდარი იყო ელიზბარაშვილის ცხოველთა თავშესაფრის შემთხვევა, რომ არაფერი ვთქვათ სპეციალისტების გამუდმებით გაფრთხილებაზე, რომ ვერეს მარჯვენა ფერდობი მეწყერსაშიში ზონაა და სტიქიის დროს სავალალო შედეგი გამორიცხული არ არის. მეტიც, ამ დრომდე შესწავლილი არ არის მთის ფერდობი, სადაც ბეთანიაწყნეთის დამაკავშირებელ გზაზე მეწყერი ჩამოწვა. უხვი ნალექის შემთხვევაში, სპეციალისტები განმეორებით სტიქიას არ გამორიცხავენ. ადამიანები, რომლებიც მეწყერის შედეგად დაზიანებულ მონაკვეთს წმენდენ, აცხადებენ, რომ მინისტრის ბრძანების თანახმად, აღნიშნული ტერიტორია მაშინვე უნდა დატოვონ, როგორც კი წვიმის პირველი წვეთი დაეცემათ(?!). ეს კი სრული დაუცველობის და უსუსურობის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ადამიანების უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს.

სპეციალისტების თქმით, სტიქიური მოვლენების დროს, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, განგაშის სისტემა უნდა ჩაირთოს. როგორც BPN.GE-სთან საუბარში გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე ამბობს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მდინარეების - მტკვრისა და ვერეს ხეობაში განგაშის სისტემა ფუნქციონირებდა.

„ჩემი მინისტრობის დროს ეს სისტემა უკვე მოშლილი იყო. თუმცა, ჩემ მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად, ქალაქს ჰყავდა სპეციალური სამსახური, რომელსაც შესაბამისი უფლებამოსილება ჰქონდა, გამოეცხადებინა განგაში. რა თქმა უნდა, ყველა მდინარესთან განგაშის სისტემა ვერ იქნება, მაგრამ მდინარე მტკვრისა და ვერეს შემთხვევაში ეს სისტემა არსებობდა. არსებობდა დახურული გეგმა, ასეთ დროს ვის, როგორ უნდა ემოქმედა. ვერესთან დაკავშირებით ეს სისტემა არსებობდა, რადგან 60-იან წლებში იქ წყალდიდობა მოხდა. ზემოთ ჰიდროლოგიური სადგური იყო, რომელიც პერიოდულად წყლის დონეს ზომავდა. 1962 წლიდან მოყოლებული, ეს ერთიან სისტემაში იყო ჩართული. შესაბამისად, სწორედ ეს სადგური მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაციას გასცემდა. ზოგადად, ვერეს ხეობა გეოლოგიურად საშიშ ზონას მიეკუთვნება, იქ დასახლება დაუშვებელია. თუმცა, 2009 წლიდან მშენებლობების ნებართვების გაცემა დაიწყეს. იქამდეც ვიღაც-ვიღაცები პატარა-პატარა სახლებს აშენებდნენ, რაც უკანონო იყო. ამ პროცესს შევეწინააღმდეგეთ და ვამბობდით, რომ იქ, სადაც მდინარის კალაპოტია, ჭალაა, მშენებლობა არ შეიძლება. ვერე მთის მდინარეა და შეიძლება ადიდდეს“, – ამბობს ნინო ჩხობაძე. მისივე თქმით, სტიქიის შემდეგ, წყნეთი-ბეთანიის დამაკავშირებელ გზაზე, იქ, სადაც მეწყერი ჩამოწვა, გარემოს სამინისტრო მკაცრ მონიტორინგს აწარმოებს.

მომხდარი სტიქია ქალაქს დიდხანს ემახსოვრება. ახლა მთავარია, რომ მომავალში მსგავსი ტრაგედიის თავიდან არიდება შევძლოთ, ამისთვის კი ხელისუფლებამ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს.

„bpn.ge“

◎ ინფორმაცია

კიდევ ერთი გაჯაცებული

საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა გორის რაიონის სოფელ დიცთან 36 წლის გოჩა ბერუაშვილი დააკავეს და მისი კუთვნილი ტრაქტორიც წაიყვანეს.

აღნიშნულ საკითხი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რაგირების მექანიზმის ფარგლებში ერგნეთში შეხვედრაზე განიხილეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა შალვა ენუქიძემ განაცხადა, ბერუაშვილი ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.

„დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაკავება დაგვიდასტურეს. ამჟამად მიდის მოლაპარაკება და დღეს თუ არა ხვალ, პიროვნების გათავისუფლება და ტექნიკის დაბრუნებაც მოხდება“, – განაცხადა ენუქიძემ.

ინტერპრესი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მწუხარებას გამოთქვამს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილის ბესიკ ოდიშარიას მამის

თენგიზ ოდიშარიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს

რევაზ თევზაძე, ზაზა და ნიკო თევზაძეები ოჯახებით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს სამედიცინო საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენლის, უკეთილშობილესი პიროვნების

ოთარ კიკნაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ განმეორებით აუქციონს ნუგზარ სიხარულიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ სიხარულიძე (პირადი №60002005254), მის: ქ. ქუთაისი, აბაშიძის ქ. №35;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. ქუთაისი, გრ. აბაშიძის ქ. №35, 365კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა №1 290.21კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 03.06.26.141).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11520.17 ლარი. სარეალიზაციო ფასი მოიცავს დღგ-ს;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 13 ივლისი, 11 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:** ნუგზარ სიხარულიძე (პირადი №60002005254), მის: ქუთაისი, აბაშიძის ქ. №35;
გიორგი ტყეშელაშვილი (პირადი №01010011307), მის: ვანი, სოფელი ბზვანი;
მარიამ სიხარულიძე (პირადი №60001130037), მის: ქუთაისი, გ.აბაშიძის ქ. №35;
რამაზ ბერაძე (პირადი №60001000352), მის: ფოთი, 9 აპრილის ხეივანი 28, ბინა 94;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**

- **აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;**
- **მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;**
- **აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.**
- **აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი** GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 13 ივლისის, 11 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

რეკლამა
29 3-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

ვინრო ასასვლელს მოედანი შეცვლის

◎ დედაქალაქი

თბილისში **იმდენი მანქანა რომ მოძრაობს, რასაც ქუჩებისა და მოედნების გამტარიანობა აშკარად არ ჰყოფნის, დიდი ხანია ვიცით, ამის თაობაზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთი პუბლიკაცია დაბეჭდილა. ჩვენ სათქმელს კი ვამბობთ, სპეციალისტების მოსაზრებებსაც ვიშველიებთ იმასთან დაკავშირებით თუ როგორია პრობლემის გადაჭრის გზები, მაგრამ საქმე, არსებითად, წინ არ იწევს. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, საკითხის მასშტაბურობაა, საავტომობილო მოძრაობაზე დედაქალაქის ინფრასტრუქტურის მოურგებლობა, ძალიან ხშირად კი ახალი განაშენიანებების ქაოტურობა და გარკვეული თვითნებობაც. ეს პრობლემა ყველაზე მძაფრად თბილისის ცენტრალურ უბნებშია საგრძნობი, თუმცა თავს საკმაოდ მწვავედ ზოგიერთ გარეუბანშიც იჩენს თავს.**

ბოლო დროს, განსაკუთრებით კი 13-14 ივნისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როცა მდინარე ვერეზე წყალდიდობის შედეგად გმირთა მოედანი, ქალაქის ეს საკვანძო ადგილი, რამდენიმე დღის განმავლობაში საავტომობილო მოძრაობისთვის დაკეტილი იყო, მანქანების ნაკადმა საგრძნობლად მოიმატა თბილისის ზღვის მიდამოებში, კერძოდ იმ უბანში, სადაც დედაქალაქის შემოვლით გზატკეცილს

მუხიანისა და გლდანის დასახლებებიდან გზები უერთდება. შემოვლითი გზატკეცილით ამ დასახლებებიდან ნაძალადევისკენ და შემდგომ ქალაქის სხვა ცენტრალური უბნებისკენ მოძრავი ავტომანქანები გადაადგილდებიან. ამ გზით უამრავი დიდი სატვირთო ავტომანქანა და ტრაილერი მოძრაობს, რომლებსაც გზაჯვარედინების გავლა, გაბარიტების გამო, დიდად უჭირთ. ამ უბნებზე სატვირთო ავტოტრანსპორტის ნაკადი განსაკუთრებით დიდია, ვინაიდან უცხოეთიდან მომავალ მანქანებს თბილისში შემოსვლა აკრძალული აქვთ. მათთვის ზაჰესთან საგანგებო გზატკეცილია გაყვანილი, რომლითაც შემოვლითი გზით სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით განაგრძობენ სვლას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მძღოლთათვის მეტად მოუხერხებელია იმ 500-მეტრიანი აღმართის გავლა, რომელიც „ზღვის უბნიდან“ შემოვლით გზაზე გადის. ამ ადგილას, სივიწროვის გამო, მუდამ საცობია — ორმხრივ მოძრაობას 7 მეტრის სიგანე გზა აშკარად არ ჰყოფნის, თან მოსახვევიც ორივე მხარეს მეტად მოუხერხებელია.

ამჟამად თბილისის მერია ამ ადგილის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ატარებს — გზის გაფართოების სამუშაოებს კომპანია „ჯეო-გრუპი“ ასრულებს. გზის სავალი ნაწილის სიგანე რეკონსტრუქციის შემდეგ გაორმაგდება და 14 მეტრს შეადგენს.

მიმდინარე სამუშაოთა მწარმოებლის **ირაკლი გლურჯიძის** თქმით, მძღოლთათვის მოძრაობის კომფორტული პირობების შესაქმნელად, გზის ყველაზე ვიწრო ადგილას მოედანი გაკეთდება, ზღვის ნაპირზე კეთილმოწყობილი ავტოსადგომი მოეწყობა შორეული რეისების მძღოლთათვის, მოძრაობის უსაფრთხოებისთვის კი ჩამოჭრილ კლდეს 20 მეტრის სიმაღლის კედლით გააამაგრებენ.

დალი ხუნდაძე

გაიტანეთ ეს ნაგავი, გაიტანეთ!..

როცა ინფექციის გავრცელების შიშით მოხალისეებს ზოოპარკის მიმდებარე და მის ზევით ხეობის ტერიტორიას აცილებენ, ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ცხელ დღეებში დაავადებათა გავრცელების საშიშროება გაცილებით მაღალია.

მაგრამ, როცა აგრარულ ბაზრებში ანტისანიტარიაა გამეფებული, როგორც ეს მეტროს სადგურ „ახმეტელის“ წინ ხდება, ეს ნამდვილად საგანგაშოა და საქმეს სასწრაფოდ ყურადღების მიქცევა უნდა. ამ ადგილზე ერთმანეთზე გადაბმული სამი პატარა ბაზარია, რომელთა შუაგულში დადგმული რამდენიმე ნაგვის ბუნკერი ნარჩენების შესაგროვებლად აშკარად არასაკმარისია. ამიტომაცაა, რომ ყოველდღე ამ ნაგვის ყუთებთან ნარჩენების გროვებში უამრავი მაწანწალა ცხოველი, მღრღნელი და ბუზი ირევა, რომლებიც ინფექციის გავრცელების ყველაზე სახიფათო წყაროებია. მეტიც: გადაყრილ პროდუქტებში უაღრესად გაჭირვებული ადამიანებიც იქექებიან და, იყო შემთხვევები, როცა ნაკლებად შელახულ, ვთქვათ, კიტრს, პამიდორს თუ სხვას, ისევ თავისნაირ გაჭირვებულებზე გროშვებად ყიდდნენ...

იქნებ ვინმემ გაგვცეს პასუხი, რის მაქნისია ამ შემთხვევაში სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური თუ სხვა მაკონტროლებელი სამსახურები?

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ᲢᲔᲚ: 599 168 171; 598 51 81 35.**

ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲐ**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

უცნობმა ბანდიტებმა მოიტაცეს ცნობილი ბიზნესმენის ცოლ-შვილი და გამოსასყიდად 5 მილიონი დოლარი მოითხოვეს. ბიზნესმენმა განაცხადა, რომ გამომძალველებს არ დაინდობს, რადგან ისინი შეეხნენ ყველაზე წმინდას, რაც კი მას აქვს — 5 მილიონ დოლარს.

* * *

ᲢᲘᲞᲘ შევიდა ავტოსახელოსნოში და კითხულობს:

— შეიძლება, ჩემს ავტმობილს რამე მოუხერხდეს?

— თუ წინა და უკანა ბამპერებს მოვხსნით, მათ შორის შეიძლება ახალი მანქანის ჩასმა, — უხსნის ხელოსანი.

— **ᲫᲐᲚᲘᲐᲜ** გამხდარხარ, რაიმე ახალ დიეტაზე ხარ?

— ჰო.

— მითხარი, რა არის საჭირო.

— კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი...

— შემწვარი თუ მოხარშული?

— არც ერთი. ისინი უნდა დათესო, მოუარო და მოიწიო...

* * *

— **ᲫᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ** მერე ცოლთან არ მილაპარაკნია.

— იჩხუბეთ?

— არა, სიტყვა ვერ ჩავაკვეხე.

* * *

ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡᲢᲘ ეკონომიკისთვის თავის ტკივილი და წამებაა. იგი არ ყიდულობს მანქანას, ბენზინს, დაზღვევას. არ იღებს სესხს, არ იხდის მანქანის რეცხვის, პარკირებისა და წამლის ფულს. იგი ჯანმრთელია!

◎ ᲙᲐᲓᲠᲘ

შლაპების აღლუმის მონაწილეები სამეფო რბოლაზე ლონდონში. ეს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი წრის მთავარი მოვლენაა დიდ ბრიტანეთში, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა 1807 წლიდან. რბოლები გრძელდება 5 დღე და ყოველდღე ქალებს ევალებათ, გამოჩნდნენ ახალ შლაპაში.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 599 17-21-21;
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ 514 33-33-24